



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვატკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

11 ბოლო 2022 წელი

N 20/36

ეგზ.: N 1

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს
პროექტის – „დანერგე მომავალი“ 2018-2020
წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
რეკომენდაციები	11
1. შესავალი	13
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	13
აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
აუდიტის საგანი	13
აუდიტის მასშტაბი	14
აუდიტის კრიტერიუმები	14
აუდიტის მიზანი	14
აუდიტის მეთოდოლოგია	14
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	15
2. აუდიტის მიგნებები	17
დანართები	48
საკონტაქტო ინფორმაცია	52

ტერმინები და შემოკლებები

სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

პროგრამა – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავალი“.

საქართველოს მთავრობის დადგენილება – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

SARAS – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

ექსპერტიზის ბიურო – სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

დახარჯეობა – იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განაცხადი არ შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, ხდება განაცხადის უარყოფა. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა ნორმატიულ აქტში.

შემაჯამებელი მიმოხილვა

პროგრამის მართვის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის – „დანერგე მომავალი“ 2018-2020 წლების შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

განაცხადების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ხარვეზები

სააგენტომ, დადგენილი წესის შესაბამისად, სრულყოფილად შევსებული ბენეფიციარების განაცხადების რეესტრი ვერ წარმოადგინა, რაც არ შეესაბამება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პროცედურებს და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას.

განაცხადების დახარვეზების ნაკლოვანებები

ბენეფიციარების განაცხადების დახარვეზების პროცესი ზოგიერთ შემთხვევაში არათანმიმდევრული მიდგომით გამოირჩევა. კერძოდ, კენკროვანების ქვეკომპონენტში შესწავლილი 77 ხელშეკრულებიდან 9 შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა, დახარვეზების მიუხედავად, გაგრძელდა იმავე სარეგისტრაციო ნომრით, რიგის ბოლოში გადანაცვლების გარეშე. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, განაცხადებს ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ მინიჭებული აქვთ ახალი სარეგისტრაციო ნომრები.

ასევე, განაცხადების დახარვეზების მიზეზების მხრივ არათანმიმდევრული მიდგომაა ცალკეული კომპონენტის მიხედვით. მაგალითად, მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში განაცხადები დახარვეზებულია მათში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამო, ხოლო ანალოგიური უზუსტობების გამო სანერგე მეურნეობების კომპონენტში, ზოგიერთ შემთხვევაში, განაცხადები დახარვეზებული არ არის. ყოველივე ზემოაღნიშნული, ზრდის ბენეფიციართა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს.

სააგენტოს მიერ დადგენილი პროცედურების ნაკლოვანება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნორმების აღსრულების მიზნით, სააგენტომ დროულად არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, სააგენტოს 2019 წლის 16 მაისიდან 2020 წლის 11 მარტამდე პერიოდისთვის, არ დაუმტკიცებია საყრდენი ბოძების და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების ტექნიკური მახასიათებლები და ფასები. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში, ბენეფიციარები მოკლებულნი იყვნენ შესაბამისი ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობას.

ბენეფიციარების არასათანადო ინფორმირება

სააგენტომ ვერ უზრუნველყო კენკროვანი კულტურების ნერგების მიმწოდებლების ვალდებულებების შესახებ ბენეფიციარების სათანადო ინფორმირება. საკუთარი უფლებამოსილების შესახებ ბენეფიციარების დროული ინფორმირება ხელს შეუწყობდა პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების პროდუქტიულობის და ეფექტიანობის გაზრდას.

ნერგების გაშენებასთან დაკავშირებული პროცესების არათანმიმდევრულობა

ორ შემთხვევაში, ბენეფიციარების განმარტება არ შეესაბამება მათ მიერ წარმოდგენილ, ნერგების მიმწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას. ნერგების მიწოდებაზე გაფორმებულ დოკუმენტაციასა და ბენეფიციარების განმარტებებს შორის არსებული შეუსაბამოები მიუთითებს

მრავალწლიანი ბაღების კომპონენტი

ნერგების გაშენებასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე.

კონტროლის მექანიზმების სხვა ნაკლოვანებები

ერთ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, ბენეფიციარისთვის მოთხოვნილი არ იყო ნერგების იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას საჭიროებს.

ერთ შემთხვევაში, სააგენტო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი ამოცანის – მრავალწლიანი კულტურების ახალი ზადის გაშენების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რაც კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

ოთხ შემთხვევაში, ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუსრულებლობის მიუხედავად, ვერ დასტურდება სააგენტოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების (წერილობითი კომუნიკაცია ბენეფიციართან) განხორციელება არსებული გარემოებების ან/და ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის თვალსაზრისით. აღნიშნული საჭიროებს კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას.

20 თვემდე პერიოდის განმავლობაში, პროგრამით გამიჯნული არ იყო ფსტის კულტურის დამყნობილი და დაუმყნობელი ნერგების კატეგორიები და მათი შესაბამისი ტარიფები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღნიშნული მიუთითებს დოკუმენტაციის მომზადების პროცესში არსებულ ხარვეზზე. შედეგად, სააგენტომ ერთი ბენეფიციარი დააფინანსა 73,500 ლარით გაზრდილი ოდენობით. აღნიშნული თანხა ბენეფიციარს ჩათვლება ნერგების დამყნობის შემდეგ, რაც 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით განხორციელებული არ არის.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო, თანადაფინანსება გაიცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ. აღნიშნულის შედეგად, ბენეფიციარს ჩაერიცხა დადგენილ ოდენობაზე 7,949 ლარით მეტი. გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მოთხოვნილი განმარტების შემდეგ, სააგენტომ ბენეფიციარს 2021 წლის 4 ნოემბერს 7,949 ლარი ბიუჯეტში დააბრუნებინა.

ინვოისში წარმოდგენილი და ფაქტობრივად მოწოდებული ნერგების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი არ იყო სრულყოფილი დოკუმენტაცია. ინვოისში მითითებული და ფაქტობრივად ჩამოტანილი ნერგების რაოდენობისა და ღირებულების შესაბამისობის დადგენა აუცილებელია გაცემული თანადაფინანსების ოდენობის სიზუსტის განსაზღვრის თვალსაზრისით. აღნიშნულის განუხორციელებლობით, არსებობს თანადაფინანსების გაზრდილი ოდენობით გაცემის რისკი.

სამ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე სააგენტომ ქმედებები განახორციელა მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც მიუთითებს, თანადაფინანსების თანხების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით დანერგილი კონტროლის მექანიზმების

სისუსტეებზე.

ერთ შემთხვევაში, თანამონაწილეობის თანხის არსებობა დადასტურებულია 11,327 ლარით ნაკლებ ოდენობაზე. სააგენტოს მიერ ხელშეკრულების გაფორმება აღნიშნული შეუსაბამობის პირობებში, მიუთითებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმების ხარვეზებზე.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო, თანადაფინანსება გაიცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ. აღნიშნულის შედეგად, თანადაფინანსება გაზრდილია არამართლზომიერად, სულ მცირე – 1,820 ლარით. აღნიშნული თანხა ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას. სააგენტოს 2022 წლის 21 მარტის N1/1112 წერილით, ბენეფიციარს მოეთხოვა თანხის ბიუჯეტში დაბრუნება. მიმართვა განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ამასთანავე, ხელშეკრულებაში ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეტანილია ცვლილება სააგენტოს თანადაფინანსების თანხის 1,820 ლარით შემცირების შესახებ.

სააგენტოს მიერ ხელშეკრულება შეწყვეტილია ოთხი თვის დაგვიანებით, ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურების წარმოდგენის შემდეგ.

ერთ შემთხვევაში, სააგენტო ორი წლის განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას, გაცემული თანადაფინანსების მიზნობრივად გადარიცხვის თაობაზე, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი არ იყო დაფინანსების მისაღებად წარსადგენი ერთ-ერთი აუცილებელი ცნობა დავალიანების არარსებობის შესახებ. აღნიშნული მიუთითებს განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებულ ხარვეზზე.

ოთხი ბენეფიციარის შემთხვევაში, სააგენტომ დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთების სარწყავი სისტემებით სრულყოფილი უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტაცია არ იყო წარდგენილი.

ხელშეკრულებების მიმდინარეობისას არსებული შეუსაბამობების, მათ შორის, სარწყავ სისტემებთან დაკავშირებული შესაძლო ხარვეზების გათვალისწინებით, სააგენტოს არ განუხორციელებია განმეორებითი სავსე მონიტორინგი. შედეგად, სააგენტო არ ფლობდა ინფორმაციას გაშენებული ბაღების ფაქტობრივი მდგომარეობის და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების შედეგობრივი ხარჯვის შესახებ.

ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, მოქმედი რეგულაციების შეუსაბამოდ ნერგები შეძენილია შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე სუბიექტისგან, რამაც შესაძლოა, საბოლოოდ, უარყოფითი გავლენა იქონიოს პროგრამის მიზნების მიღწევაზე.

სააგენტო ბენეფიციარების დაფინანსების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრულ, ნერგებს შორის დაშორების სარეკომენდაციო არეებს. შესწავლილი 321 ხელშეკრულებიდან ნერგების რაოდენობები 31 შემთხვევაში სარეკომენდაციო რაოდენობებს აღემატება 20%-დან 240%-მდე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს

პროგრამის მიზნების მიღწევაზე.

სხვადასხვა შეუსაბამობა

კომპის კულტურის ნერგების თანადაფინანსება განხორციელდა ისე, რომ პროგრამით არ იყო დადგენილი მათი თანადაფინანსების მაქსიმალური ღირებულება. ფაქტობრივად, სააგენტოს ბრძანებით განსაზღვრული რეგულაცია მიღებულია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამასთან შეუსაბამოდ. აღსანიშნავია, რომ გაცემული თანხა შეესაბამება შემდგომში დადგენილებით განსაზღვრულ ტარიფებს.

გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ შეტანილა ცვლილებები სარწყავი სისტემის ახალ მიმწოდებელთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით არის აუცილებელი განსახორციელებელი ქმედება.

სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი

სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების ხარვეზები

ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, სანერგე მეურნეობის მოწყობასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი ექსპერტის დასკვნები. ასევე, ორი ბენეფიციარის შემთხვევაში მიწის ნაკვეთები დატვირთულია იპოთეკით, რაც საბანკო დაწესებულების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქმნის აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილებისა და, შესაბამისად, პროფილის ცვლილების რისკს. აღნიშნულ ხელშეკრულებებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთების გასხვისების და პროფილის ცვლილებასთან დაკავშირებული შეზღუდვა არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ამასთანავე, ორი იდენტური სანერგე მეურნეობის შემთხვევაში, 1 კვ.მ-ზე გახარჯულად ნაჩვენები მასალების დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ჯამურ ღირებულებაში 132,672 ლარის სხვაობას წარმოშობს.

ნერგების ხარისხი

ნერგების ხარისხთან დაკავშირებული ნაკლოვანება

სანერგე მეურნეობების კვალიფიციურობის შეფასების არსებული პრაქტიკა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს წარმოებული ნერგების ხარისხს, რაც ხშირად იწვევს ბენეფიციარების უკმაყოფილებას და ხელს უშლის პროგრამის მიზნების მიღწევას.

მონიტორინგი

მონიტორინგის განხორციელების ხარვეზები

პროგრამით მისაღები შედეგების მაქსიმიზაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ნერგები აგროვადებში გაშენდეს. აღნიშნული შესაძლებელია დადასტურდეს დროული აუდიტორული პროცედურებით. რიგ შემთხვევებში, აუდიტი განხორციელდა აგროვადების გასვლიდან მნიშვნელოვანი პერიოდის შემდეგ. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნები ვერ უზრუნველყოფს რწმუნებას იმის შესახებ, დარგულია თუ არა ნერგები შესაფერის აგროვადებში.

ამასთანავე, მთავრობის დადგენილების თანახმად, 2019 წლის 25 ოქტომბრამდე პერიოდში საველე მონიტორინგი სავალდებულო იყო ყველა დაკმაყოფილებული განაცხადისთვის, რასაც სააგენტო რიგ შემთხვევებში ვერ ახორციელებდა. შერჩეული 140 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში, სააგენტომ ვერ წარმოადგინა სავალდებულო მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხოლო, 5 შემთხვევაში მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ზემოაღნიშნული 15 ხელშეკრულების თანადაფინანსების საერთო ღირებულება 1,267,769 ლარია.

აღნიშნულის გამო, სააგენტოს მიერ არ არის დადასტურებული პროგრამის ძირითადი მიზნის – მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების შესრულების მდგომარეობა.

2019 წლის აგვისტომდე კენკროვნების ქვეკომპონენტში ბენეფიციარის მიერ მასალების მონტაჟის მონიტორინგი არ ხდებოდა მონიტორინგის სათანადო ინსტრუმენტის არარსებობის გამო. ასევე, კენკროვნების ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოყენებული საველე მონიტორინგის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებდა ბაღის გაშენებისთვის საჭირო მასალებთან დაკავშირებით შემოწმების წესს. აღნიშნული მეთოდოლოგიით არ იყო ნათლად განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებულად მიჩნევის კრიტერიუმები, რაც იძლეოდა არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. 9 ბენეფიციართან დაკავშირებით, რომელთა დაფინანსების ჯამურმა თანხამ 85,485 ლარი შეადგინა, საველე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ, არ შეესაბამებოდა საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიას და დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნების საფუძველზე ბენეფიციარებმა დაფინანსებები მიიღეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ არ არის გათვალისწინებული კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარკვეული კატეგორიის ბაღებში გაძლიერებული მონიტორინგის ჩატარების შესახებ, რაც წარმოქმნის ბენეფიციარების ინტერესების დაუცველობის და სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკს.

სააგენტომ ზოგიერთ შემთხვევაში ვერ წარმოადგინა განმეორებითი მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტები; ასევე რიგ შემთხვევებში სააგენტოს სპეციალურმა კომისიამ დააკმაყოფილა ბენეფიციარების მოთხოვნები ვალდებულებების შესრულების ვადების გაგრძელების შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება განმეორებითი მონიტორინგის ჩატარების შესახებ არ იქნა მიღებული.

სააგენტოში არ არსებობს ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების შესრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გაშენებული ბაღების მონიტორინგის პრაქტიკა, რაც საშუალებას მისცემდა, სათანადოდ გაეანალიზებინა პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგები.

სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის განხორციელებით ბენეფიციარების მიერ მიღებული მოსავლის ან/და შემოსავლების შესახებ.

ბაღების ვიზუალური დათვალიერება

ბაღების დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები

აუდიტორული შერჩევით, მნიშვნელოვანი რისკების მქონე ბაღების ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 2018-2020 წლებში მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, 1,332,366 ლარით დაფინანსებულ 15 ბაღში ნერგების 100% გამხმარია. ამასთანავე, 10 ბაღის შემთხვევაში, რომლებიც ჯამურად დაფინანსდა 733,291 ლარის ოდენობით, ნერგების გარკვეული ნაწილი გამხმარია, ხოლო 3,115,975 ლარით დაფინანსებულ 36 ბაღში – ნერგების არსებითი ნაწილი გახარებულია.

პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება

პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის ნაკლოვანებები

სააგენტომ ვერ წარმოადგინა 2018-2020 წლების საბიუჯეტო განაცხადების დეტალური გაანგარიშებები. 2018-2020 წლებში ქვეპროგრამის საბიუჯეტო რესურსი იგეგმებოდა ხარვეზებით. კერძოდ, თავდაპირველად ჯამურად

დამტკიცებული 34,000,000 ლარის ასიგნებები დაზუსტდა 46,368,500 ლარამდე, ხოლო ამავე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 60,609,693 ლარი შეადგინა.

2018-2020 წლებში სააგენტოს მიერ ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდებოდა დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში, რის გამოც ხდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების ფაქტობრივი აღიარება. შედეგად, ასეთი წესით, ბენეფიციარებთან გაფორმებულმა ხელშეკრულებების ღირებულებამ 2018 წელს – 2,360,235 ლარი, 2019 წელს – 414,403 ლარი, ხოლო 2020 წელს – 11,466,555 ლარი შეადგინა.

პროგრამით გათვალისწინებული კულტურების დაფინანსება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2020 წლის 5 მარტს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2020 წლის 11 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, არ უნდა დაფინანსებულიყო კახეთის რეგიონში საღვინე ვაზის ნერგების შეძენისა და სარწყავი სისტემის მოწყობის ხარჯები, თუმცა სააგენტომ მთავრობის დადგენილებების მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, 3 ბენეფიციარი დააფინანსა, ჯამში – 294,800 ლარით, რაც არამიზნობრივი ხარჯია. ამასთანავე, ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ 239,221 ლარით დაფინანსებულ ბაღში საღვინე ვაზის ნერგების 100% გამხმარია.

ერთ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია დადგენილი რეგულაციების შეუსაბამოდ, რის შედეგად, გაწეულია 17,395 ლარის არამიზნობრივი ხარჯი.

პროგრამის ბიუჯეტის ანგარიშგების ნაკლოვანებები

2018-2020 წლებში, სააგენტოს მიერ დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ბაღების გაშენება და თანადაფინანსება უმეტესწილად ხორციელდებოდა შემდგომ საანგარიშო პერიოდებში. მათი ასახვა მიმდინარე საანგარიშო წლების ანგარიშებში ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს.

ჯარიმებსა და პირგასამტეხლობთან დაკავშირებული ხარჯვები

ბენეფიციარს სააგენტოს პროექტების განმხილველი კომისიის მიერ, თანხის ანაზღაურებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დაეკისრა 73,500 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება, თუმცა სააგენტოს მიერ აღნიშნული თანხა არ იყო აღრიცხული მოთხოვნების შესაბამის საბალანსო ანგარიშზე, ასევე თანხა არ იყო დაბრუნებული ხაზინის ანგარიშზე. ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, საბიუჯეტო რესურსი 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირიცხება და განიკარგება მიმწოდებელი კომპანიის მიერ.

ორი ბენეფიციარის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სააგენტოს მიერ შესაბამისი ღონისძიებები არ არის განხორციელებული, ვინაიდან სააგენტოს მიერ მონიტორინგი არ ჩატარებულა.

ოთხი ბენეფიციარის შემთხვევაში, სააგენტოს სპეციალური კომისიის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელდა თანადაფინანსების სრული მოცულობით პირგასამტეხლოს დაკისრება, თუმცა შემდგომ პერიოდებში იმავე კომისიის მიერ, შესაბამისი საჯარიმო სანქციების დაკისრების გარეშე, გაუქმდა აღნიშნული პირგასამტეხლოები და ახალი ვადები განისაზღვრა.

შვიდი ბენეფიციარის შემთხვევაში, წარმოდგენილია სარწყავი სისტემის მოწყობისა და ნერგების მიღების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები, გადარიცხულია თანადაფინანსების თანხები, თუმცა მონიტორინგის დასკვნების მიხედვით, ხელშეკრულების პირობები დადგენილ ვადებში არ იყო შესრულებული.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1 ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ, გაცემული დაფინანსების მიზნობრიობის შენარჩუნების მიზნით, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთების გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ პროცედურების შემუშავება.

რეკომენდაცია N2 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ნერგების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, განიხილოს სარგავ და გასამრავლებელ მასალებზე სერტიფიცირების პროცესის დანერგვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N3 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ბაღების დადგენილ ვადებში გაშენების დადასტურებისა და ნერგების ხმობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს ბაღების გაშენებისათვის ხელშეკრულებებით დადგენილი ვადებიდან გონივრული პერიოდის ფარგლებში საექსპერტო/აუდიტორული დასკვნების წარმოდგენის ვალდებულების განსაზღვრა.

რეკომენდაცია N4 ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ, პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგების სრულყოფილი ანალიზის და შემდგომში მისი გაუმჯობესების მიზნით, ყველა კომპონენტის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ასახოს ბენეფიციარების გრძელვადიანი ვალდებულებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიწის ნაკვეთის გასხვისების შეზღუდვის, ბაღის დადგენილი წესებით ექსპლუატაციის, პროფილის შენარჩუნების და ყოველწლიურად მიღებული მოსავლის შესახებ მიახლოებითი ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ. ასევე, სავსე მონიტორინგის მეთოდოლოგიით განსაზღვროს ბაღების გაშენების შემდგომ წლებში მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა და კრიტერიუმები.

რეკომენდაცია N5 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ორგანიზება გაუწიოს ნერგების ხმობის გამომწვევი მიზეზების კვლევას, იმ ბაღების ფარგლებში სადაც ნერგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამხმარია. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში შევიდეს სათანადო ცვლილებები, რაც დადებითად აისახება პროგრამით მისაღწევ საბოლოო მიზნებზე.

რეკომენდაცია N6 ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ საბიუჯეტო რესურსების გამოყენების გაჭიანურების გამორიცხვის მიზნით, განიხილოს ბაღების კომპონენტის ფარგლებში ნერგების მიმწოდებელ კომპანიებსა და ბენეფიციარებს შორის

გასაფორმებელ ხელშეკრულებებში მისი სამართლებრივი ფორმით
მონაწილეობის საკითხი.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2018-2020 წლების საქმიანობა პროგრამის – „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის – „დანერგე მომავალი“ შემდეგი მიმართულებები:

- პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცესი;
- პროგრამის კომპონენტების მიხედვით დადგენილი პროცედურების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებასთან;
- პროგრამის კომპონენტების განხორციელების მდგომარეობა;
- მონიტორინგის პროცესი;
- პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა – „დანერგე მომავალს“ ფარგლებში 2018-2020 წლების საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონები 2018, 2019 და 2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N631 დადგენილება „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 ივნისის ბრძანება N2-591- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ წესდების დამტკიცების შესახებ (ცვლილებებით);
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 5 დეკემბრის N1-4/411 ბრძანებით, ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 9 ოქტომბრის N1-4/645 და 2020 წლის 28 მაისის N1-4/211 ბრძანებებით დამტკიცებული სააგენტოს დებულებები.
- ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შიდა პროცედურები;

სხვა კრიტერიუმები (მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- გამოკითხვა;
- შემოწმება;
- ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიტიკური პროცედურები;
- ინტერვიუები;
- ვიზუალური დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილების საფუძველზე. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო,¹ რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირია.

სააგენტოს მმართველობის ორგანოებია: გამგეობა² და სააგენტოს დირექტორი.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავალი“ 2018-2020 წლების სხვადასხვა პერიოდებში მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი, მათ შორის, კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი;
- სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსების კომპონენტი.

პროგრამის მიზნებია:

- საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარიულად სუფთა ნერგების წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგად შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი ნერგების შეთავაზება. საქართველოში ახალი ბაღების გაშენება და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივი და თვისებრივი გაუმჯობესება.

პროგრამის ამოცანებია:

- თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების შექმნა;
- მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება;
- სანერგე მეურნეობების შექმნის, მრავალწლიანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების გაშენების სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით;
- მეურნეობებისა და ბაღების შექმნის მსურველთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

¹ სააგენტოს თავდაპირველი სახელწოდება იყო ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი. 2013 წლის 28 იანვრიდან ეწოდა ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2019 წლის 27 ივნისიდან ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, ხოლო 2020 წლის 2 სექტემბრიდან – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

² სააგენტოს გამგეობის შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 დეკემბრის N1-1/2715 განკარგულებით. გამგეობის წევრები არიან: პრემიერ-მინისტრი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი და მინისტრის მოადგილეები, საქართველოს ფინანსთა მინისტრი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

სახელმწიფო პროგრამის – „დანერგე მომავალი“³ დაფინანსების შესახებ ინფორმაცია იხ. ცხრილში N1

ცხრილი N1. ინფორმაცია პროგრამის დაფინანსების შესახებ (ლარი)⁴

	2018	2019	2020	სულ
დამტკიცებული გეგმა	8 000 000	13 000 000	13 000 000	34 000 000
დაზუსტებული გეგმა	9 563 000	15 623 000	21 182 500	46 368 500
საკასო ხარჯი	9 562 821	15 613 500	21 179 958	46 356 279

³ პროგრამული კოდი: 31 05 04.

⁴ ინფორმაცია მოძიებულია 2018-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებიდან

2. აუდიტის მიგნებები

2018-2020 წლებში სააგენტოს მიერ ბენეფიციარებთან გაფორმებული და აუდიტის ფარგლებში შესწავლილი ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია იხ. ცხრილში N2.⁵

ცხრილი N2. 2018-2020 წლებში ბენეფიციარებთან გაფორმებული და შესწავლილი ხელშეკრულებები (ლარი)⁶

კომპონენტი	ხელშეკრულებების რაოდენობა	სააგენტოს თანადაფინანსება ხელშეკრულებებით	შესწავლილი ხელშეკრულებები	
			რაოდენობა	თანხა
მრავალწლიანი ბალები	1086	45 251 267	244	23 883 987
კენკროვანები	1008	12 680 122	77	1 212 319
სანერგე	9	2 931 818	9	2 931 818
სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები	8	205 660	8	205 660
წვეთოვანი სარწყავი სისტემები	20	322 466	13	307 537
ჭის ჭაბურღილები	31	409 508	22	333 197
ნერგების ჩანაცვლება	2	277 736	2	277 736
შესაწამლი აპარატი	1	5 000	-	-
სულ	2 165	62 083 577	375	29 152 254

აუდიტის ჯგუფისთვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ხელშეკრულებების რეესტრების მიხედვით, გაფორმებული ხელშეკრულებების თანადაფინანსების ჯამურმა მოცულობამ 62,083,577 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა, შეწყვეტილი და გაუქმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით – 61,034,167 ლარია, რაც 424,473 ლარით აღემატება⁷ 2018-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშებში ასახულ მონაცემებს.⁸

⁵ ხელშეკრულებების რაოდენობისა და სააგენტოს თანადაფინანსების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია სააგენტოს მიერ წარმოდგენილი რეესტრებიდან.

⁶ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ. ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შემოწმებულია აუდიტორული შერჩევის საფუძველზე, რაც გულისხმობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვით შერჩევას.

⁷ აღნიშნული სხვაობის შესახებ სააგენტომ დასაბუთებული განმარტება ვერ წარმოადგინა.

⁸ სამინისტროს 2018-2020 წლების ანგარიშები სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.

2.1 პროგრამის მართვის პროცესი

2.1.1 განაცხადების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ხარვეზები

კრიტერიუმი: სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში ცალკეული კომპონენტის შესაბამისად, დამტკიცებულია პროცედურები,⁹ რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად აწესრიგებს პოტენციური ბენეფიციარების მიერ პროგრამაში მონაწილეობის მიზნით შეტანილი განაცხადების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. კერძოდ, განაცხადების აღრიცხვა თითოეული კომპონენტის¹⁰ მიხედვით უნდა იწყებოდეს წინასწარ განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომრით და ასახული უნდა იყოს სპეციალურ ფორმებში, რომლებიც მოიცავს ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორებიცაა, განაცხადის მიღების თარიღი, განაცხადის ნომერი, კომპონენტის დასახელება, პოტენციური ბენეფიციარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული სტატუსი, მოთხოვნილი დაფინანსებისა და თანამონაწილეობის მოცულობები, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი და ა.შ.

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტომ დადგენილი წესის შესაბამისად, სრულყოფილად შევსებული რეესტრების სპეციალური ფორმები ვერ წარმოადგინა. აღნიშნულის ნაცვლად, სააგენტო ინფორმაციას აღრიცხავს განსხვავებული ელექტრონული ფორმით, სადაც არ არის დაცული სარეგისტრაციო ნომრების თანმიმდევრობა. მიღებული განმარტების თანახმად, აღნიშნული ელექტრონული რეესტრი არასრულია და მიმდინარეობს ინფორმაციის სრულყოფა.¹¹

დასკვნა

სააგენტომ დადგენილი წესის შესაბამისად სრულყოფილად შევსებული ბენეფიციარების განაცხადების რეესტრი ვერ წარმოადგინა, რაც არ შეესაბამება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პროცედურებს და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას.

2.1.2 განაცხადების დახარვეზების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ დამტკიცებული განაცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურების¹² თანახმად, თუ განაცხადი და თანმდევი დოკუმენტაცია არ შეესაბამება პროგრამის პირობებს, განაცხადი ხარვეზდება, რისი მიზეზებიც განმცხადებელს 10 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით, ან/და წერილობით ან/და ელფოსტით. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ განაცხადებს მიენიჭება ახალი სარეგისტრაციო ნომერი და გადაინაცვლებს რიგის ბოლოს.

ფაქტობრივი გარემოებები: კენკროვანების ქვეკომპონენტში შესწავლილია 77 განაცხადი, საიდანაც 9 მათგანი დახარვეზდა დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის გამო. მიუხედავად ამისა, ბენეფიციარების მიერ დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ, განხილვა გაგრძელებულია იმავე ნომრებით, რიგის ბოლოში გადანაცვლების გარეშე.¹³ აღსანიშნავია, რომ სხვა შემთხვევებში,

⁹ პროცედურები და მათში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის ბრძანებებით.

¹⁰ სხვადასხვა კომპონენტისთვის გამოყენებული განაცხადების ნომრებს გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული პრეფიქსები (მაგალითად, პროგრამის საწყის ეტაპზე ბაღების კომპონენტის პრეფიქსი იყო APMAPLG, ხოლო სანერგების - APMAPLN).

¹¹ სააგენტომ ასევე წარმოადგინა კანცელარიის მიერ აღრიცხული რეესტრი, თუმცა აუდიტის არასრულ პერიოდზე (მაგალითად, მასში არ არის მითითებული ბაღებისა და კენკროვანების კომპონენტების 2018 წლის და 2019 წლის პირველი ნახევრის განაცხადები).

¹² პროცედურები და მათში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის ბრძანებებით.

¹³ განაცხადები: ARDAPLB000832, 27.02.2020; ARDAPLB000845, 28.02.2020; ARDAPLB000850, 28.02.2020; ARDAPLB000877, 28.02.2020; ARDAPLB001017, 14.08.2020; ARDAPLB001224, 20.10.2020; ARDAPLB001371, 18.11.2020; ARDAPLB000690, 27.01.2020; ARDAPLB001087, 08.09.2020. აღსანიშნავია, რომ ყველა ბენეფიციარმა მიიღო თანადაფინანსება.

განაცხადებს, ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ მინიჭებული აქვთ ახალი სარეგისტრაციო ნომრები.¹⁴

- ერთ შემთხვევაში განაცხადის¹⁵ დახარვეზების ერთ-ერთი მიზეზია ის გარემოება, რომ კაკლის ნერგების შეძენის ინვოისში არ იყო მითითებული სახეობა – „გვიანმოყვავილე“,¹⁶ თუმცა იდენტიფიცირებულია შემთხვევები, სადაც ანალოგიური მიზეზების გამო განაცხადები დახარვეზებული არ არის.¹⁷

- განაცხადების დახარვეზების მიზეზების მხრივ არათანმიმდევრული მიდგომაა ცალკეული კომპონენტების მიხედვითაც. მაგალითად, მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში განაცხადები დახარვეზებულია მათში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამო,¹⁸ ხოლო ანალოგიური უზუსტობების გამო სანერგე მეურნეობების კომპონენტში განაცხადები დახარვეზებული არ არის.¹⁹

დასკვნა

სააგენტოს მიერ მიღებული განაცხადების დახარვეზების პროცესი, ზოგიერთ შემთხვევაში არათანმიმდევრული მიდგომით გამოირჩევა. კერძოდ, კენკროვანების ქვეკომპონენტში შესწავლილი 77 ხელშეკრულებიდან 9 შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა, დახარვეზების მიუხედავად, გაგრძელდა იმავე სარეგისტრაციო ნომრით, რიგის ბოლოში გადანაცვლების გარეშე. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, განაცხადებს ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ მინიჭებული აქვთ ახალი სარეგისტრაციო ნომრები.

ასევე, განაცხადების დახარვეზების მიზეზების მხრივ არათანმიმდევრული მიდგომაა ცალკეული კომპონენტის მიხედვით. მაგალითად, მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში განაცხადები დახარვეზებულია მათში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამო, ხოლო ანალოგიური უზუსტობების გამო სანერგე მეურნეობების კომპონენტში, ზოგიერთ შემთხვევაში, განაცხადები დახარვეზებული არ არის. ყოველივე ზემოაღნიშნული, ზრდის ბენეფიციართა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს.

2.1.3 სააგენტოს მიერ დადგენილი პროცედურების ნაკლოვანება

კრიტერიუმი: ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, შუა და საყრდენი ბოძების შეძენის ან/და სეტყვის საწინააღმდეგო ბაღების მოწყობის მიზნით. შუა და საყრდენი ბოძების ტექნიკურ მახასიათებლებს კულტურების ჭრილში და დასაშვებ მაქსიმალურ რაოდენობას, ასევე კულტურების ჩამონათვალს, რომელზეც შესაძლებელია გაიცეს თანადაფინანსება სეტყვის საწინააღმდეგო ბაღების მოწყობისთვის, ადგენს კვლევითი ცენტრი და ამტკიცებს სააგენტო, ხოლო შუა და საყრდენი ბოძების და ასევე სეტყვის საწინააღმდეგო ბაღების მოწყობის საბაზრო ფასი დგინდება ექსპერტიზის ბიუროს ან SARAS-ის მიერ წარმოებულ რეესტრში მითითებული

¹⁴ მაგალითად, ARDAPLB001298, 04.11.2020; ARDAPLB000495, 09.12.2019.

¹⁵ მაგალითად, ARDAPLG000236, განაცხადის მიღების თარიღი: 18.11.2019.

¹⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილების N1 დანართის მიხედვით, 2020 წლის 11 მარტამდე, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში უნდა დაფინანსებულიყო კაკლის და ნუშის მხოლოდ გვიანმოყვავილე ჯიშები.

¹⁷ მაგალითად, ARDAPLG000074, 24.09.2019; ARDAPLG000215, 11.11.2019.

¹⁸ მაგალითად, ARDAPLG000213 განაცხადში (11.11.2019) და სარწყავი სისტემის ინვოისში მითითებული მიწის ფართობები არ იყო ურთიერთშესაბამისი (განაცხადში - 1.45 ჰა; ინვოისში - 14,525 კვ.მ); ARDAPLG000352 განაცხადზე (12.12.2019) თანდართულ სარწყავი სისტემის ინვოისში დასაკორექტირებელი იყო სამუშაოების დასრულების ვადა და ხარვეზები იყო ნერგების ინვოისში.

¹⁹ მაგალითად, ARDAPLN000058 განაცხადის (16.01.2020) მიხედვით, სასათბურე მეურნეობის გაშენება იგეგმებოდა 13,987 კვ.მ-ზე. თანდართული 2020 წლის 6 იანვრის N01/20 აუდიტორული დასკვნის მიხედვით კი, 12,250 კვ.მ-ზე; ARDAPLN000064 განაცხადის (13.05.2020) მიხედვით სათბურის გაშენება იგეგმებოდა 1 ჰექტარზე. თანდართული ინვოისის თანახმად კი, 8,400 კვ.მ-ზე.

პირის მიერ, რომლის საფუძველზეც სააგენტო ამტკიცებს თანადაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას.²⁰

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს არ დაუმტკიცებია საყრდენი ბოძების და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების ტექნიკური მახასიათებლები და ფასები, რასაც 2019 წლის 16 მაისიდან 2020 წლის 11 მარტამდე პერიოდისთვის ითვალისწინებდა მთავრობის დადგენილება. შესაბამისად, მითითებულ პერიოდში ასეთი სახის დახმარებები არ გაცემულა.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნორმების აღსრულების მიზნით, სააგენტომ დროულად არ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, სააგენტოს 2019 წლის 16 მაისიდან 2020 წლის 11 მარტამდე პერიოდისთვის არ დაუმტკიცებია საყრდენი ბოძების და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების ტექნიკური მახასიათებლები და ფასები. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში, ბენეფიციარები მოკლებულნი იყვნენ შესაბამისი ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობას.

2.2 მრავალწლიანი ბაღების კომპონენტი

2.2.1 ბენეფიციარების არასათანადო ინფორმირება

კრიტერიუმი: პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, 2019 წლის 16 მაისამდე მოქმედი რეგულაციით,²¹ მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდგომ დამატებით, სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემოდათ შესაწამლი აპარატები, ხოლო შემდგომ პერიოდში, წარდგენილი ინვოისის ან/და შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, შესაწამლი აპარატების შესყიდვა უფინანსდებოდათ 5,000 ლარამდე ოდენობით. შესაბამისი დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.²²

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს ბრძანებით დამტკიცებული პროცედურების²³ შესაბამისად, ბაღების კომპონენტში კოოპერატივებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპური ფორმა ითვალისწინებდა მუხლს, რომლითაც განსაზღვრული იყო, ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაწამლი აპარატების საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული ნორმა გათვალისწინებული აღარ არის სააგენტოს 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებული პროცედურებით. 2019 წლის 16 მაისიდან შესაწამლი აპარატების დაფინანსების გაცემის დეტალური პროცედურა უნდა შეიმუშავებინა სააგენტოს. შესაბამისი პროცედურები დამტკიცდა 15 თვის შემდეგ, 2020 წლის 5 აგვისტოს,²⁴ რომელიც ითვალისწინებდა შესაწამლი აპარატებისთვის, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებას.

აუდიტორული შერჩევის პრინციპით შემოწმებული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან, ზემოთ მითითებულ ცვლილებამდე გაფორმებული ოთხი ხელშეკრულების შემთხვევაში, არ განხორციელებულა შესაწამლი აპარატების გადაცემა. მათ შორის, მხოლოდ ერთ ბენეფიციართან გაფორმებული

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მუხლი 4, პუნქტები: 1, 5 და 7 (2019 წლის 16 მაისიდან 2020 წლის 11 მარტამდე მოქმედი ნორმა).

²¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი (2019 წლის 16 მაისამდე მოქმედი რეგულაცია).

²² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი (2019 წლის 16 მაისიდან მოქმედი რეგულაცია).

²³ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 14 აპრილის N1-6/143 ბრძანება ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მიღებული განცხადებების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურების დამტკიცების შესახებ.

²⁴ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 5 აგვისტოს N1-6/334 ბრძანება სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის შესაწამლი აპარატების ღირებულების დაფინანსების/ანაზღაურების გაცემის დეტალური პროცედურის დამტკიცების შესახებ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაწამლი აპარატის გადაცემის ვალდებულებას (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. ხელშეკრულებებში შესაწამლი აპარატების გადაცემის ვალდებულებების ასახვის მდგომარეობა²⁵

N	ხელშეკრულება	თარიღი	თანადაფინანსება (ლარი)	სტატუსი
1	APMAPLG001085	28.12.2018	100 000	არა
2	APMAPLG001060	12.12.2018	48 860	გაწერილია
3	APMAPLG000800	02.02.2018	96 934	არა
4	APMAPLG001034	15.11.2018	99 750	არა

სააგენტოს განმარტებით, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ბენეფიციარებს არ მიუმართავთ შესაბამისი მოთხოვნით.

დასკვნა

აუდიტორული შერჩევით შემოწმებული ოთხი ხელშეკრულებიდან, სამ შემთხვევაში არ იყო ჩანაწერი შესაწამლი აპარატების გადაცემის ვალდებულების შესახებ. შესაბამისად, პროგრამაში მონაწილე პირები ნაკლები ინფორმირებულობის გამო, სავარაუდოდ, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას სააგენტოსთვის მოეთხოვათ შესაწამლი აპარატების გადაცემა.

კრიტერიუმი: 2019 წლიდან²⁶ სააგენტოსა და კენკროვანი კულტურების ნერგების მიმწოდებელ კომპანიებს შორის გაფორმებულ შეთანხმებებში განისაზღვრა კონკრეტული წინაპირობები,²⁷ რაც კომპანიებს აკისრებდა გამხმარი ნერგების სრულად ჩანაცვლების ვალდებულებას.

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციარების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული წინაპირობების დადგომის შემთხვევაში ბენეფიციარების მიერ კომპანიისგან ნერგების ჩანაცვლების მოთხოვნის უფლებამოსილებას. ამასთანავე, სააგენტომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ბენეფიციარების ამ უფლებამოსილების შესახებ ინფორმირებას დაადასტურებდა.

დასკვნა

სააგენტომ ვერ უზრუნველყო კენკროვანი კულტურების ნერგების მიმწოდებლების ვალდებულებების შესახებ ბენეფიციარების სათანადო ინფორმირება. საკუთარი უფლებამოსილების შესახებ ბენეფიციარების დროული ინფორმირება ხელს შეუწყობდა პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების პროდუქტიულობის და ეფექტიანობის გაზრდას.

²⁵ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ

²⁶ 2019 წლის სექტემბრიდან ადგილობრივ სანერგებთან, ხოლო 2019 წლის ნოემბრიდან - იმპორტირებული ნერგების შემოძღვრის ადგილობრივ კომპანიებთან გაფორმებულ შეთანხმებებში.

²⁷ იმ შემთხვევაში, თუ ქვეკომპონენტის ბენეფიციარს მოწყობილი ექნებოდა წვეთოვანი სარწყავი სისტემა და ნერგების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 360 კალენდარული დღის განმავლობაში ნერგების 30% ან მეტი გახმებოდა, ნერგების მიმწოდებლები ვალდებული იყვნენ, სრულად უზრუნველყოთ გამხმარი ნერგების ჩანაცვლება.

2.2.2 ნერგების გაშენებასთან დაკავშირებული პროცესების არათანმიმდევრულობა

კრიტერიუმი: პროგრამის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება.²⁸

ფაქტობრივი გარემოება: ორ შემთხვევაში, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების²⁹ თავდაპირველი პირობების შესაბამისად, ნერგების გაშენება უნდა განხორციელებულიყო 2018 წლის 31 დეკემბრამდე, რაც საბოლოოდ გადავადდა 2020 წლის 1 დეკემბრამდე.³⁰ ვალდებულებების შესრულება დადასტურებულია როგორც გარე აუდიტორის³¹ მიერ 2020 წლის 4 და 5 დეკემბერს შედგენილი დასკვნებით, ასევე სააგენტოს მიერ 2020 წლის 21 დეკემბერს განხორციელებული სავსე მონიტორინგით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნერგები გაშენდა მათი მიწოდებიდან ორი წლისა და 6 თვის შემდეგ. კერძოდ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ნერგები³² მიღებულია 2018 წლის 11 მაისს, ნერგების გაშენება კი დასტურდება 2020 წლის 1 დეკემბრისათვის. ამასთანავე, წარმოდგენილია მიმწოდებლის 2018 წლის 11 მაისის წერილები, რომლებიც მიხედვითაც ირკვევა, რომ 2018 წლის 1 ნოემბრამდე ნერგები მასთან შეინახებოდა. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 31 ოქტომბერს მხარეებს შორის კვლავ გაფორმებულია ნერგების მიღება-ჩაბარების აქტები.³³

სააგენტოს მიერ 2020 წლის 13 მაისს განხორციელებულ სავსე მონიტორინგის შედეგებზე გაფორმებულ დასკვნებში³⁴ მითითებულია, რომ ბენეფიციარების განმარტებით, კონტრაქტორმა ნერგები მიაწოდა დაგვიანებით, 2019 წლის ბოლოს. ბენეფიციარების განმარტება არ შეესაბამება მათ მიერ წარმოდგენილ, ნერგების მიმწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას, რომლებიც დათარიღებულია 2018 წლის 11 მაისითა და 31 ოქტომბრით. აღნიშნული თარიღებით ნერგების მიღება, ფაქტობრივად, დადასტურებულია ასევე სააგენტოს მხრიდან, ვინაიდან მიმწოდებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ტრანშები ორივე ბენეფიციარზე გაცემულია 2019 წლის 15 თებერვალს.³⁵

დასკვნა

ორ შემთხვევაში, ბენეფიციარების განმარტება არ შეესაბამება მათ მიერ წარმოდგენილ, ნერგების მიმწოდებელთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციას. ნერგების მიწოდებაზე გაფორმებულ დოკუმენტაციასა და ბენეფიციარების განმარტებებს შორის არსებული შეუსაბამობები მიუთითებს ნერგების გაშენებასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე.

2.2.3 კონტროლის მექანიზმების სხვა ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ბენეფიციარი ვალდებულია, ნერგების იმპორტის გზით შეძენის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოადგინოს საბაჟო დეკლარაცია და თანდართული საქონლის ინვოისი.³⁶ ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრულად

²⁸ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა - „დანერგე მომავლის“ მუხლი 1, პუნქტი 2^o.

²⁹ 30.04.2018, APMAPLG000950 - 100,000 ლარი; 30.04.2018, APMAPLG000951 - 100,000 ლარი.

³⁰ 2020 წლის 28 ოქტომბრის შეთანხმებები.

³¹ შპს „სტანდარტ აუდიტის“ დასკვნები: N119/20, 04.12.2020 წ. და N120/20, 05.12.2020 წ.

³² ლურჯი მოცვი - 44,100 ერთეული (მათ შორის: APMAPLG000950 - 22,050 და APMAPLG000951 - 22,050).

³³ წერილები და მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია ცალ-ცალკე ორივე ბენეფიციართან მიმართებით.

³⁴ დასკვნები შედგენილია ცალ-ცალკე ორივე ბენეფიციართან მიმართებით, რომელთა მიხედვითაც ვალდებულებები შესრულებული არ იყო.

³⁵ ბაღების გაშენება ასევე დასტურდება აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული ადგილზე დოკუმენტაციით. ამასთანავე, 2021 წლის სექტემბრიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთები გასხვისებულია.

³⁶ ხელშეკრულების დანართი N2-ის პუნქტი 3.3.

შესრულებამდე.³⁷ დოკუმენტური მონიტორინგის სამსახური ელექტრონული ბაზის მეშვეობით ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს.³⁸

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების³⁹ ფარგლებში, ბოლო ტრანში ხაზინიდან გაცემულია 2019 წლის 5 აპრილს. ტრანშის მიზნობრივად გადარიცხვა ნერგების მიმწოდებელზე, ბენეფიციარის მიერ დადასტურებულია 2019 წლის 10 აპრილს. ამ თარიღიდან ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილი არ იყო ნერგების⁴⁰ იმპორტის დამადასტურებელი საბაჟო დეკლარაცია. ბენეფიციარის მიერ აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია სააგენტოს 2021 წლის 24 აგვისტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.⁴¹

დასკვნა

ერთ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, ბენეფიციარისთვის მოთხოვნილი არ იყო ნერგების იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას საჭიროებს.

კრიტერიუმი: პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის დოკუმენტური მონიტორინგის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების კონტროლი.⁴²

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁴³ ფარგლებში, სააგენტოს მიერ 2019 წლის 10 ოქტომბერს განხორციელებული საველე მონიტორინგით დადგინდა, რომ ნერგების სრული ოდენობა – 4,650 ერთეული იყო გამხმარი. მონიტორინგის შედეგებზე შედგენილ ფორმაში აღნიშნულია, რომ ბენეფიციარმა წარმოადგინა სამინისტროს ლაბორატორიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ნერგებს ჰქონდა სოკოვანი დაავადება.⁴⁴

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნერგების მიმწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილია შეთანხმება – ახალი ნერგების 2020 წლის 30 მარტამდე მოწოდების თაობაზე. მითითებული თარიღის დადგომიდან 17 თვის განმავლობაში, ვალდებულების შესრულების დასადაგენად, სააგენტოს მხრიდან ქმედების განხორციელება დოკუმენტურად ვერ დასტურდება. მხოლოდ 2021 წლის 18 აგვისტოს, სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათით⁴⁵ მოთხოვნილია ბაღის განმეორებითი მონიტორინგის ჩატარება, რაზეც წარმოდგენილია 2021 წლის 10 დეკემბერს ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში.

აუდიტის ფარგლებში მიწის ნაკვეთის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე კაკლის

³⁷ ხელშეკრულების პუნქტი 6.7.

³⁸ სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული - სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მიღებული განაცხადებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურები, პუნქტი 5.6.8.

³⁹ 15.11.2018წ. - APMAPLG001034 - კოოპერატივი „რკ აგროთემა“ - 99,750 ლარი.

⁴⁰ ლურჯი მოცვი - 2,000 ნერგი.

⁴¹ არსებულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, სააგენტომ წერილი (N1/4312) აუდიტის ჯგუფის მიერ განმარტების მოთხოვნის შემდეგ გაგზავნა.

⁴² სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 მაისის N1-4/211 ბრძანებით დამტკიცებული დებულების პუნქტი 6.7.3.4 და სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული - „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურის პუნქტი 6.1

⁴³ 12.02.2019, APMAPLG001147 - 95,439.66 ლარი - 4,650 ცალი კაკლის ნერგი.

⁴⁴ მითითებული დოკუმენტი აუდიტის სამსახურისათვის წარმოდგენილი არ არის.

⁴⁵ N2-1/9322 მოხსენებითი ბარათი, რომელიც შედგენილია გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, აუდიტის ჯგუფის მიერ სააგენტოსგან მოთხოვნილი განმარტებების წარმოდგენის შემდგომ.

დასკვნა

ნერგები ფაქტობრივად არ არსებობს. იმავეს ადასტურებს შემდგომ პერიოდში სააგენტოს მიერ ჩატარებული სავსელე მონიტორინგის შედეგები.

ერთ შემთხვევაში, სააგენტო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი ამოცანის – მრავალწლიანი კულტურების ახალი ბადის გაშენების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რაც კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

კრიტერიუმი: სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ბენეფიციარს არ მიუღია სააგენტოს თანადაფინანსება და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ განუხორციელებია ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით ნერგების გაშენება ან/და გასარწყავიანება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე.⁴⁶

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციარების მიერ, ოთხ შემთხვევაში, ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარებს თანადაფინანსების თანხაც არ ჰქონდათ მიღებული, სააგენტოს არ განუხორციელებია ქმედითი ღონისძიებები ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (იხ. ცხრილი N4).

ცხრილი N4 - ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუწყვეტელი ხელშეკრულებები⁴⁷

N	ხელშეკრულება	ვალდებულების შესრულების ვადა	ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი	დრო ხელშეკრულების შეწყვეტამდე (თვე)
1	APMAPLG000980	30.04.2019	03.03.2021	22
2	APMAPLG001190	31.12.2019	24.02.2021	14
3	APMAPLG001062	30.04.2019	არ შეწყვეტილა ⁴⁸	32
4	APMAPLG001202	31.05.2019 ⁴⁹	არ შეწყვეტილა ⁵⁰	31

დასკვნა

ოთხ შემთხვევაში, ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუსრულებლობის მიუხედავად, ვერ დასტურდება სააგენტოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების (წერილობითი კომუნიკაცია ბენეფიციართან) განხორციელება, არსებული გარემოებების ან/და ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის თვალსაზრისით. აღნიშნული საჭიროებს კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას.

კრიტერიუმი: ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70%-ისა, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე იმპორტის დროს. ამავდროულად, დადგენილია თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა.⁵¹

ფაქტობრივი გარემოება 1: ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის⁵² მოქმედი რეგულაციებით, ფსტის ნერგის ტარიფი შეადგენდა 10.5 ლარს, თუმცა ნამყენი და არანამყენი ნერგებისთვის ფასები განცალკევებულად არ იყო დადგენილი. სააგენტოს მიერ დაანგარიშება განხორციელდა აღნიშნული

⁴⁶ ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პუნქტი 3.3.

⁴⁷ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ

⁴⁸ 01.12.2021-ის მდგომარეობით.

⁴⁹ სარწყავი სისტემის მონტაჟის ვადა - 31.05.2019 წ.; ნერგების გაშენების ვადა - 31.12.2019.

⁵⁰ 01.12.2021 წლის მდგომარეობით.

⁵¹ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მუხლი 4, პუნქტი 2 და დანართი N2.

⁵² 06.05.2019, APMAPLG001281, - 157.500 ლარი (50 ჰა - 15,000 ფსტის ნერგი).

ტარიფით. შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულმა და 2019 წლის 25 ივნისს გადარიცხულმა თანადაფინანსების თანხამ, 15,000 ნერგზე შეადგინა 157,500 ლარი. კვლევითი ცენტრის 2020 წლის 9 ივლისის წერილით⁵³ დგინდება, რომ გაშენებული ფსტა განკუთვნილია არანამყენ კატეგორიას, ხოლო ამ პერიოდისათვის მოქმედი რეგულაციებით, უკვე განსაზღვრული იყო ფასები ფსტის კატეგორიების მიხედვით და არანამყენი ერთი ფსტის ტარიფი შეადგენდა 5.6 ლარს.⁵⁴

2020 წლის 12 ოქტომბრის კომისიის გადაწყვეტილებით,⁵⁵ ბენეფიციარს დარგული ნერგები უნდა დაემყნო ორი წლის ვადაში და წარმოედგინა თანადაფინანსების თანხის ოდენობის საბანკო გარანტია. ბენეფიციარმა, საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე ნერგების დამყნობის პროცესის ვადის დასასრულებლად მოითხოვა 2021 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი, რაც სააგენტომ დააკმაყოფილა.

აუდიტის ფარგლებში მიწის ნაკვეთის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, ნერგების დამყნობის პირობა შესრულებული არ არის.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან⁵⁶ მიმართებითაც. ამასთანავე, იდენტურია გასაშენებელი ნერგების და სააგენტოს მიერ თავდაპირველად განსაზღვრული თანადაფინანსების ოდენობები. ზემოაღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავებით, ფსტის ნერგებზე კატეგორიის დადგენის პერიოდისათვის, ტრანში გაცემული არ იყო და სააგენტოს 2020 წლის 20 აგვისტოს წერილით⁵⁷ ბენეფიციარს ეცნობა, რომ თანადაფინანსება შემცირდებოდა 84,000 ლარამდე. ბენეფიციარის წერილობითი მიმართებისა და კომისიის 2021 წლის 25 იანვრის სხდომის ოქმი N2-ის საფუძველზე, მასთან 2021 წლის 11 მარტს გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით თანადაფინანსება განისაზღვრა ისევ 157,500 ლარით, ხოლო მისი გაცემა – ორ ტრანშად: ტრანში N1 – 84,000 ლარი და ტრანში N2 – 73,500 ლარი. მათ შორის, მეორე ტრანშის გაცემის წინაპირობად განისაზღვრა ნერგების დამყნობის დადასტურება. 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით ნერგები არ არის დამყნობილი, შესაბამისად, ბენეფიციარს დაფინანსება არ მიუღია.

დასკვნა

20 თვემდე პერიოდის განმავლობაში, პროგრამით გამიჯნული არ იყო ფსტის კულტურის დამყნობილი და დაუმყნობელი ნერგების კატეგორიები და მათი შესაბამისი ტარიფები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღნიშნული მიუთითებს დოკუმენტაციის მომზადების პროცესში არსებულ ხარვეზზე. შედეგად, სააგენტომ ერთი ბენეფიციარი დააფინანსა 73,500 ლარით გაზრდილი ოდენობით. აღნიშნული თანხა ბენეფიციარს ჩაეთვლება ნერგების დამყნობის შემდეგ, რაც 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით განხორციელებული არ არის.

ფაქტობრივი გარემოება 2: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁵⁸ ფარგლებში, ნერგების ღირებულების⁵⁹ 70% შეადგენდა 69,453 ლარს, სატარიფო

⁵³ N04/1100.

⁵⁴ ადგილობრივი ნერგები.

⁵⁵ ოქმი N36.

⁵⁶ 06.06.2019, APMAPLG001280 - 157,500 ლარი (503ა - 15,000 ფსტის ნერგი).

⁵⁷ N1/3057.

⁵⁸ 02.12.2019 წ., ARDAPLG000233 - 106,952.89 ლარი.

⁵⁹ 99,218.42 ლარი (ნუში - 12,375 ცალი ნერგი).

ღირებულება – 61,504 ლარს.⁶⁰ სააგენტოს მიერ თანადაფინანსება გაიცა 69,453 ლარის ოდენობით, ნაცვლად 61,504 ლარისა.

დასკვნა

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო, თანადაფინანსება გაიცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ. აღნიშნულის შედეგად, ბენეფიციარს ჩაერიცხა დადგენილ ოდენობაზე 7,949 ლარით მეტი. გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მოთხოვნილი განმარტების შემდეგ, სააგენტომ ბენეფიციარს 2021 წლის 4 ნოემბერს 7,949 ლარი ბიუჯეტში დააბრუნებინა.

კრიტერიუმი: ბენეფიციარი ვალდებულია, ნერგების იმპორტის გზით შემენის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოადგინოს საბაჟო დეკლარაცია და თანდართული საქონლის ინვოისი.⁶¹ ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს სააგენტოსგან მიღებული თანადაფინანსების თანხის სხვაობის დაბრუნება, იმ შემთხვევაში თუ შემცირდება მრავალწლიანი კულტურის ნერგების ღირებულება.⁶²

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁶³ ფარგლებში ინვოისში დაფიქსირებული გასაშენებელი ნერგების⁶⁴ რაოდენობა და ღირებულება შეადგენდა, შესაბამისად - 26,566 ერთეულს და 67,536 აშშ დოლარს. იმპორტის დამადასტურებელ საბაჟო დეკლარაციაში მითითებულია ნერგების ჯამური ღირებულება - 71,186 აშშ დოლარი, ხოლო ნერგების ერთეულების რაოდენობა დაფიქსირებული არ არის. წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციაში ასახული მონაცემებით, ვერ განხორციელდებოდა ინვოისში მოცემული და ფაქტობრივად ჩამოტანილი ნერგების ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა, როგორც რაოდენობრივი, ასევე ღირებულებითი თვალსაზრისით. აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით, სააგენტოს მიერ დამატებითი დოკუმენტაცია მიღებულია 2021 წლის 6 სექტემბერს,⁶⁵ მაშინ როდესაც საბაჟო დეკლარაცია დათარიღებულია 2020 წლის 27 იანვრით. აღსანიშნავია, რომ დაგვიანებით მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

დასკვნა

ინვოისში წარმოდგენილი და ფაქტობრივად მოწოდებული ნერგების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი არ იყო სრულყოფილი დოკუმენტაცია. ინვოისში მითითებული და ფაქტობრივად ჩამოტანილი ნერგების რაოდენობისა და ღირებულების შესაბამისობის დადგენა აუცილებელია გაცემული თანადაფინანსების ოდენობის სიზუსტის განსაზღვრის თვალსაზრისით. აღნიშნულის განუხორციელებლობით, არსებობს თანადაფინანსების გაზრდილი ოდენობით გაცემის რისკი.

კრიტერიუმი: ტრანშის მიზნობრიობის დასადასტურებლად, ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში ბანკის მიერ დამოწმებული დოკუმენტი, სააგენტოს თანადაფინანსების თანხის, მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხვის/ჩარიცხვის შესახებ.⁶⁶ ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული

⁶⁰ ერთი ნერგი - 4,97 ლარი (ნუში - 12,375 ცალი ნერგი).

⁶¹ ბენეფიციართან გაფორმებული 01.11.2019 ხელშეკრულების დანართი N2, პუნქტი 3.3.

⁶² ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულება, პუნქტი 2.2.9.

⁶³ 01.11.2019, ARDAPLG000123 - 120.750 ლარი.

⁶⁴ ლურჯი მოცვი.

⁶⁵ დამატებითი დოკუმენტაცია გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მას შემდგომ, რაც აუდიტის ჯგუფმა სააგენტოსგან მოითხოვა განმარტებები.

⁶⁶ ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, დანართი N2.

ვალდებულებების ვადაში შესრულების კონტროლი ევალება დოკუმენტური მონიტორინგის სამსახურს.⁶⁷

ფაქტობრივი გარემოება: გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ სხვადასხვა ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, სააგენტომ შესაბამისი რეაგირება სამ შემთხვევაში, განახორციელა მნიშვნელოვანი დაგვიანებით. კერძოდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც, მიღებული ტრანშების მიმწოდებლებზე მიზნობრივად გადარიცხვის დადგენილ ვადებში დაუდასტურებლობისათვის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და ჯარიმის წერილები გაგზავნილია ტრანშების გაცემიდან, დაახლოებით, ორიდან ხუთ თვემდე პერიოდის გასვლის შემდეგ.⁶⁸

დასკვნა

სამ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე სააგენტომ ქმედებები განახორციელა მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც მიუთითებს, თანადაფინანსების თანხების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტეებზე.

კრიტერიუმი: ბენეფიციარმა დაფინანსების მისაღებად უნდა წარადგინოს თანამონაწილეობის თანხის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ.⁶⁹

ფაქტობრივი გარემოება: პოტენციურ ბენეფიციართან⁷⁰ გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, თანამონაწილეობის თანხა შეადგენდა 51,365 ლარს, ხოლო მის საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა 40,038 ლარი.⁷¹

დასკვნა

ერთ შემთხვევაში, თანამონაწილეობის თანხის არსებობა დადასტურებულია 11,327 ლარით ნაკლებ ოდენობაზე. სააგენტოს მიერ ხელშეკრულების გაფორმება აღნიშნული შეუსაბამობის პირობებში, მიუთითებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმების ხარვეზებზე.⁷²

კრიტერიუმი: პროგრამის მიხედვით, ერთიანი სარწყავი სისტემა უნდა მომსახურებოდა ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლოვან ბაღს და აქ უნდა დაკომპლექტებულიყო ერთი ტუმბო და ერთი წყლის დაგროვების ავზი, ასევე სხვა მაკომპლექტებლები.⁷³

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁷⁴ ფარგლებში, სარწყავი სისტემის ღირებულება შეადგენდა 19,654 ლარს. თანადაფინანსება გაცემულია მითითებული თანხის 60%-ის, ანუ 11,792 ლარის ოდენობით. სარწყავ სისტემაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის მიხედვით, კომპლექტაციაში შედიოდა ორი ერთეული ტუმბო - 3,034 და 3,126 ლარის

⁶⁷ სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული - „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული განცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურის პუნქტი 6.1.

⁶⁸ 1. ხელშეკრულება N APMAPLG001058 - დაახლოებით, 2 თვემდე პერიოდი. 2. ხელშეკრულება N APMAPLG001056 - დაახლოებით, 4 თვე. 3. ხელშეკრულება N APMAPLG001148 - დაახლოებით, 5 თვე.

⁶⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მუხლი 11, პუნქტი „მ“ (2019 წლის 16 მაისამდე არსებული რედაქცია).

⁷⁰ ხელშეკრულება N APMAPLG001130, 14.03.2019.

⁷¹ სს „თიბისი ბანკის“ სამტრედიის ს/ც N1-ის N27/103-01 ცნობა, 31.01.2019. ბენეფიციარმა, განაცხადის განხილვის ეტაპზე ინფორმაცია საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ წარმოადგინა ორჯერ. პირველად წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ანგარიშზე გააჩნდა საკმარისი თანხა, ხოლო მეორედ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით არსებული ნაშთი ნაკლები იყო პროგრამით მოთხოვნილ ოდენობაზე.

⁷² ბენეფიციარის მიერ, თანამონაწილეობის თანხის - 51,365 ლარის გადახდა დასტურდება.

⁷³ საქართველოს მთავრობის დადგენილება, მუხლი 8, პუნქტი 1^ბ.

⁷⁴ 18.10.2019 წ., ARDAPLG000129 - 102,553.22 ლარი.

დასკვნა

ღირებულებებით. თანადაფინანსების თანხის დაანგარიშებისას გათვალისწინებულია ორივე ტუმბოს ღირებულება.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო, თანადაფინანსება გაიცა დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ. აღნიშნულის შედეგად, თანადაფინანსება გაზრდილია, არამართლზომიერად, სულ მცირე – 1,820 ლარით. აღნიშნული თანხა ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას. სააგენტოს 2022 წლის 21 მარტის N1/1112 წერილით, ბენეფიციარს მოეთხოვა თანხის ბიუჯეტში დაბრუნება. მიმართვა განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ამასთანავე, ხელშეკრულებაში ორმხრივი შეთანხმების⁷⁵ საფუძველზე შეტანილია ცვლილება სააგენტოს თანადაფინანსების თანხის 1,820 ლარით შემცირების შესახებ.

კრიტერიუმი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ბენეფიციარი ვალდებულია, წარადგინოს საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.⁷⁶ ნერგების იმპორტის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია ბოლო ტრანშის ათვისებიდან 3 თვის ვადაში წარმოადგინოს საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიზნობრიობ(ებ)ის შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოეთხოვება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.⁷⁷ თუ დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს სააგენტოს თანადაფინანსების თანხის 10%-ს, შეწყდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ბენეფიციარს დაეკისრება მიღებული თანადაფინანსების სრული თანხის და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.⁷⁸

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁷⁹ ფარგლებში, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის ბოლო თარიღი იყო 2020 წლის 16 მარტი. პირგასამტეხლო დასკვნის წარმოდგენლობაზე შეადგენდა 0.05%-ს თითო გადაცილებულ დღეზე. დასკვნა წარმოდგენილია 2021 წლის 20 იანვარს, 310-დღიანი ვადაგადაცილებით. თანადაფინანსება შეადგენდა 80,055 ლარს, რომლის 10%-ია 8,005 ლარი. აღნიშნულ ოდენობას პირგასამტეხლო მიაღწევდა 2020 წლის 16 მარტიდან მე-200 დღეს, ანუ 2020 წლის 2 ოქტომბერს. დადგენილი პირობებით, ხელშეკრულება უნდა შეწყვეტილიყო ამ თარიღიდან, თუმცა გადაწყვეტილება შეწყვეტაზე მიღებულია 2021 წლის 12 თებერვალს.⁸⁰ ფაქტობრივად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის პერიოდის დადგომიდან, დაახლოებით, ოთხი თვის განმავლობაში, მისი მოქმედება არ შეწყვეტილა. შეწყვეტის გადაწყვეტილება მიღებულია იმ პერიოდში, როდესაც დასკვნით დადასტურდა ვალდებულებების შესრულება.

წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტასა და პირგასამტეხლოს⁸¹ გადახდაზე გაგზავნილია 2021 წლის 25 მარტს, რომლის მიხედვით გადახდის პერიოდი შეადგენდა 30 დღეს.⁸²

⁷⁵ 2022 წლის 24 თებერვლის N1 შეთანხმება.

⁷⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა, მუხლი 13, პუნქტი 1.

⁷⁷ ARDAPLG000159 - პუნქტი 3.4 და დანართი N2, პუნქტი 3.3.

⁷⁸ ARDAPLG000159 - პუნქტი 3.4 და დანართი N2, პუნქტი 3.4.

⁷⁹ 06.11.2019, ARDAPLG000159 - 81,582 ლარი.

⁸⁰ კომისიის 2021 წლის 12 თებერვლის N8 სხდომის ოქმი.

⁸¹ 80,055 (თანადაფინანსება) და 8,005 (პირგასამტეხლო დასკვნის წარმოდგენლობაზე), სულ: 88,061 ლარი.

⁸² სააგენტოს მიერ 2021 წლის ნოემბერში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შეტანილია სარჩელი თანხის ამოღების მოთხოვნით.

დასკვნა

სააგენტოს მიერ ხელშეკრულება შეწყვეტილია ოთხი თვის დაგვიანებით, ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურების წარმოდგენის შემდეგ.

კრიტერიუმი: ბენეფიციარი ვალდებულია ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული საგადასახადო დავალება, წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის დარჩენილი ღირებულების⁸³ სარწყავი სისტემის მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხვის დასადასტურებლად.⁸⁴

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების⁸⁵ ფარგლებში, დადასტურებული არ არის სარწყავი სისტემის მიმწოდებელზე სააგენტოსგან მიღებული თანადაფინანსების – 49,462 ლარის გადარიცხვა. გადარიცხვა უნდა დადასტურებულიყო 2019 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.⁸⁶ სააგენტოს მხრიდან წერილობითი მოთხოვნა გადახდის დადასტურებაზე, გაგზავნილია 2021 წლის 7 სექტემბერს და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ბენეფიციარმა ფაქტობრივად 2021 წლის 16 დეკემბერს წარმოადგინა.⁸⁷

დასკვნა

ერთ შემთხვევაში სააგენტო ორი წლის განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას, გაცემული თანადაფინანსების მიზნობრივად გადარიცხვის თაობაზე, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.

კრიტერიუმი: ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიმართ და ბენეფიციარმა დაფინანსების მისაღებად უნდა წარმოადგინოს ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.⁸⁸

ფაქტობრივი გარემოება: თანადაფინანსების მიღების მიზნით წარმოდგენილი განაცხადი დაკმაყოფილებულია და ხელშეკრულება⁸⁹ გაფორმებულია ისე, რომ წარმოდგენილი არ იყო ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობაზე.

დასკვნა

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი არ იყო, დაფინანსების მისაღებად წარსადგენი ერთ-ერთი აუცილებელი ცნობა დავალიანების არარსებობის შესახებ. აღნიშნული მიუთითებს განაცხადის განხილვის პროცესში დაშვებულ ხარვეზზე.

კრიტერიუმი: პროგრამის თანახმად, ერთიანი სარწყავი სისტემა უნდა ემსახურობდეს ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლოვან ბაღს და მის კომპლექტაციაში უნდა შედიოდეს ერთი ტუმბო.⁹⁰

ბენეფიციარი ვალდებულია ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ბანკის მიერ დამოწმებული საგადასახადო დავალება, წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის დარჩენილი ღირებულების⁹¹ სარწყავი სისტემის მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხვის დასადასტურებლად.⁹²

⁸³ სააგენტოს თანადაფინანსების თანხა.

⁸⁴ ხელშეკრულების დანართი N2, პუნქტი 3.3.

⁸⁵ 16.01.2019, APMAPLG001115 - 88,101.52 ლარი.

⁸⁶ ტრანში გაცემულია 16.09.2019.

⁸⁷ მიმართვა განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ.

⁸⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა, მუხლი 8, პუნქტი 4 და მუხლი 11, „ე“ პუნქტი (2019 წლის 16 მაისამდე მოქმედი რეგულაციები).

⁸⁹ 22.04.2019, APMAPLG001249 - 77,405 ლარი.

⁹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა - „დანერგე მომავალი“, მუხლი 8, პუნქტი 1^ბ.

⁹¹ სააგენტოს თანადაფინანსების თანხა.

⁹² ხელშეკრულების დანართი N2-ის პუნქტი 3.4.

სააგენტო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს საველე და დოკუმენტური მონიტორინგი.⁹³

ფაქტობრივი გარემოება: დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე ხუთ მომიჯნავე ნაკვეთზე, ზეთისხილის გაშენების მიზნით თანადაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით, ხუთ სხვადასხვა პირთან გაფორმებულია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხუთი ხელშეკრულება (ხელშეკრულებების მონაცემები იხ. ცხრილში N5):

ცხრილი N5. გაფორმებული ხელშეკრულებების მონაცემები⁹⁴

N	ხელშეკრულება	თარიღი	ს/კ	ჰა	ნერგების რაოდენობა	სრული თანადაფინანსება (ლარი)	მათ შორის, ნერგები	მათ შორის, სარწყავი
1	APMAPLG000965	29.05.2018	52.30.31.074	20	11 000	95 240	70 265	24 975
2	APMAPLG000966	25.05.2018	52.30.31.078	20	11 000	95 517	70 467	25 050
3	APMAPLG000760	02.02.2018	52.30.31.077	20	11 000	93 529	68 604	24 925
4	APMAPLG000898	17.04.2018	52.30.31.076	20	11 000	95 752	70 727	25 025
5	APMAPLG000899	17.04.2018	52.30.31.075	20	11 000	95 752	70 727	25 025
სულ:						475 791	350 791	125 000

N1 და N3-5 ბენეფიციარების განაცხადები⁹⁵ დაკმაყოფილებულია ისე, რომ წარმოდგენილ ინვოისებში არ არის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი – წყლის ტუმბო. აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილება არ ითვალისწინებდა ერთზე მეტი ბენეფიციარისთვის საერთო სარწყავი სისტემის მოწყობას. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება, სააგენტო ფლობდა თუ არა სრულყოფილ ინფორმაციას, ზემოაღნიშნული ხუთივე ნაკვეთის ერთიანი სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის შესახებ.

N1, N3 და N5 ბენეფიციარებზე თანადაფინანსება გაცემულია სრული ოდენობით, რაზეც ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი არ არის სარწყავ სისტემაზე მიღებული ტრანშების, მიმწოდებელზე⁹⁶ მიზნობრივად გადარიცხვის⁹⁷ დადასტურების დოკუმენტაცია. მიზნობრივად გადარიცხვის დადასტურებისთვის დადგენილი ვადის⁹⁸ გასვლიდან 339 დღის გასვლის შემდეგ,⁹⁹ სააგენტოს მიერ შეტანილია სარჩელები მცხეთის რაიონულ სასამართლოში, ბენეფიციარების მიერ მიღებული თანადაფინანსების თანხებისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების¹⁰⁰ დაკისრების მოთხოვნით. ორ შემთხვევაში¹⁰¹ კი, ბენეფიციარებზე გადარიცხულია მხოლოდ ნერგებზე გათვალისწინებული ტრანშები.

N2 და N4 ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სარწყავი სისტემისთვის გათვალისწინებული თანხები გადარიცხულია კერძო აღმასრულებლის ანგარიშზე,

⁹³ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁹⁴ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ.

⁹⁵ APMAPLG000760, APMAPLG000898, APMAPLG000899, APMAPLG000965.

⁹⁶ ხუთივე შემთხვევაში მიმწოდებელია ერთი და იგივე კომპანია.

⁹⁷ ტრანშების გადარიცხვის თარიღი: 2020 წლის 26 ივნისი.

⁹⁸ ხაზინიდან გადარიცხვის თარიღიდან (26.06.2020 წ.) ხუთი სამუშაო დღე - 03.07.2020.

⁹⁹ 2021 წლის 7 ივნისი.

¹⁰⁰ პირგასამტეხლოების ოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 150 ლარს (50 ლარი თითოეულ მოპასუხეზე).

¹⁰¹ APMAPLG000966, APMAPLG000898.

სააგენტოს მიმართ ბენეფიციარების მოთხოვნის დაყადაღებისა და სარწყავი სისტემის მიმწოდებლის სასარგებლოდ ბენეფიციარებისთვის თანხების დაკისრების საფუძველზე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სამ ბენეფიციარზე (N1, N3 და N5) სარწყავ სისტემებთან დაკავშირებული ტრანშები გაცემულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ მიერ ხელმოწერილია სარწყავი სისტემის მიმწოდებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა დადასტურებაზეც, ბენეფიციარები უარს აცხადებდნენ დამონტაჟებული სარწყავი სისტემის ხარვეზებით ფუნქციონირების მოტივით.

სააგენტოს მიერ 2020 წლის 8 ივნისს განხორციელებული საველე მონიტორინგის შედეგად, ხუთივე მიწის ნაკვეთზე დადასტურებულია ნერგების გაშენება და სარწყავი სისტემის მოწყობა. თუმცა, სარწყავ სისტემასთან დაკავშირებული შესაძლო ხარვეზების გათვალისწინებით, განმეორებითი მონიტორინგი სააგენტოს მიერ არ განხორციელებულა.

ამასთანავე, აუდიტის ფარგლებში, მიწის ნაკვეთის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთებზე სარწყავი სისტემა სათანადოდ არ ფუნქციონირებს. ხუთი მიწის ნაკვეთიდან, ნერგების ხმოზა არ შეინიშნება მხოლოდ ერთ ნაკვეთზე, ორ შემთხვევაში გამხმარი იყო ნერგების მცირე რაოდენობა, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში – გამხმარი იყო ნერგების, დაახლოებით, 40%¹⁰² და 80%.¹⁰³

დასკვნა

ოთხი ბენეფიციარის შემთხვევაში, სააგენტომ დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთების სარწყავი სისტემებით სრულყოფილი უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტაცია წარდგენილი არ იყო.

ხელშეკრულებების მიმდინარეობისას არსებული შეუსაბამოების, მათ შორის, სარწყავ სისტემებთან დაკავშირებული შესაძლო ხარვეზების გათვალისწინებით, სააგენტოს არ განუხორციელებია განმეორებითი საველე მონიტორინგი. შედეგად, სააგენტო არ ფლობდა ინფორმაციას გაშენებული ბაღების ფაქტობრივი მდგომარეობის და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების შედეგობრივი ხარჯვის შესახებ.

კრიტერიუმი: ნერგის შეძენა უნდა განხორციელდეს სამინისტროს მიერ შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან.¹⁰⁴

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების¹⁰⁵ ფარგლებში განხორციელდა ჟოლოს ნერგების ჩანაცვლება, ინდივიდუალური მეწარმისგან შესყიდული ნერგებით,¹⁰⁶ რომელიც არ ფლობდა კვალიფიციური სანერგე მეურნეობის სტატუსს.

დასკვნა

ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, მოქმედი რეგულაციების შეუსაბამოდ, ნერგები შეძენილია შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე სუბიექტისგან, რამაც შესაძლოა, საბოლოოდ, უარყოფითი გავლენა იქონიოს პროგრამის მიზნების მიღწევაზე.

¹⁰² APMAPLG000899.

¹⁰³ APMAPLG000965.

¹⁰⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მუხლი 10, პუნქტი 1.

¹⁰⁵ 28.03.2019, APMAPLG001209 - 100,000 ლარი (ჟოლოს 70,000 ნერგი).

¹⁰⁶ 70,000 ნერგი - 140,000 ლარი.

დასკვნა

2.2.4 სხვადასხვა
შეუსაბამობა

დასკვნა

დასკვნა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია გასაშენებელი კულტურების სარეკომენდაციო კვების არეები.¹⁰⁷

ფაქტობრივი გარემოება: რიგ შემთხვევებში დარღული ნერგების ოდენობები მნიშვნელოვნად აღემატება სარეკომენდაციო კვების არეების გათვალისწინებით დასარგავი ნერგების მოცულობებს. მაგალითად, შესწავლილი 321 ხელშეკრულებიდან, ნერგების რაოდენობა 31 შემთხვევაში სარეკომენდაციო რაოდენობას აღემატება 20%-დან 240%-მდე (იხ. დანართი N1).

სააგენტო ბენეფიციარების დაფინანსების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრულ, ნერგებს შორის დაშორების სარეკომენდაციო არეებს. შესწავლილი 321 ხელშეკრულებიდან ნერგების რაოდენობა 31 შემთხვევაში სარეკომენდაციო რაოდენობას აღემატება 20%-დან 240%-მდე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროგრამის მიზნების მიღწევაზე.

კრიტერიუმი: პროგრამით¹⁰⁸ ბაღების კომპონენტის ფარგლებში, დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური ღირებულების ოდენობა.

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან 2018 წლის 23 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების¹⁰⁹ საფუძველზე, სხვა კულტურებთან ერთად, განხორციელდა კომშის ნერგების თანადაფინანსება 58,800 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის, სახელმწიფო პროგრამით არ იყო დადგენილი კომშის ნერგების ტარიფები.¹¹⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ წარმოდგენილია სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 21 თებერვლის N1-6/88 ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია კომშის კულტურის ერთ ნერგზე თანადაფინანსების ლიმიტი.

კომშის კულტურის ნერგების თანადაფინანსება განხორციელდა ისე, რომ პროგრამით არ იყო დადგენილი მათი თანადაფინანსების მაქსიმალური ღირებულება. ფაქტობრივად, სააგენტოს ბრძანებით განსაზღვრული რეგულაცია მიღებულია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამასთან შეუსაბამოდ. აღსანიშნავია, რომ გაცემული თანხა შეესაბამება შემდგომში დადგენილებით განსაზღვრულ ტარიფებს.

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით,¹¹¹ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება ასეთ ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს წერილობითი ფორმით.

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების¹¹² ფარგლებში, სარწყავი სისტემის მომწოდებლები შეცვლილია ხელშეკრულებებში სათანადო ცვლილებების შეტანის გარეშე.

გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ შეტანილა ცვლილებები სარწყავი სისტემის ახალ მიმწოდებელთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით არის აუცილებელი განსახორციელებელი ქმედება.

¹⁰⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის დანართი N4.

¹⁰⁸ 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავალი“, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და დანართი N2.

¹⁰⁹ 23.04.2018 წ., APMAPLG000891 - 100,000 ლარი.

¹¹⁰ ტარიფები დადგენილია 2018 წლის 31 მაისიდან.

¹¹¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლი.

¹¹² ორი სხვადასხვა ხელშეკრულება: 17.12.2018, APMAPLG001049 - 96,507 ლარი და 17.12.2018 წ., APMAPLG001050 - 85,633.50 ლარი.

კრიტერიუმი: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის¹¹³ თანახმად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი მახასიათებლები.

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ზოგიერთ შემთხვევაში შეტანილია ცვლილებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია შესაბამის განმარტებით ბარათებში ასახული არ არის (იხ. დანართი N2), რაც არ შეესაბამება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას.

2.3 სანერგე მეურნეობები

2.3.1 სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ბენეფიციარი ვალდებულია, წარადგინოს SARAS-ის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.¹¹⁴

სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად,¹¹⁵ ბენეფიციარებმა ვალდებულებების შესრულებამდე არ უნდა გაასხვისონ ან რაიმე ფორმით განკარგონ მიწის ნაკვეთი. ამასთანავე, სამი წლის მანძილზე შენარჩუნებული უნდა იყოს სანერგე მეურნეობის პროფილი.

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტომ ორ ბენეფიციართან გააფორმა ხელშეკრულებები¹¹⁶ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ დიხაშოში სანერგე მეურნეობების მოწყობის მიზნით. ერთი ხელშეკრულების თანახმად,¹¹⁷ სანერგე მეურნეობის მოწყობა უნდა დასრულებულიყო 2020 წლის 31 მაისისათვის. ბენეფიციარმა წარადგინა 2020 წლის 1 ივნისის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც არასრულყოფილი მონაცემების გამო, დახარვეზებულია სააგენტოს მიერ. ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დამატებითი საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი.

სააგენტოს მიერ 2021 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა სავსე მონიტორინგი, რის შედეგადაც ბენეფიციარის ვალდებულებების შესრულების მხრივ გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამოებები, თუმცა სააგენტოს პროექტების საკითხების განმხილველმა სპეციალურმა კომისიამ აღნიშნული შეუსაბამოებები არ მიიჩნია არსებითად და ბენეფიციარის ვალდებულებები ჩათვალა შესრულებულად.

ორივე ბენეფიციარის შემთხვევაში მიწის ნაკვეთები დატვირთულია იპოთეკით,¹¹⁸ რაც საბანკო დაწესებულების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქმნის აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილებისა და, შესაბამისად, პროფილის ცვლილების რისკს. ამასთანავე, აღნიშნულ ხელშეკრულებებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთების გასხვისების

¹¹³ მუხლი 17, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „ა.ა“.

¹¹⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილების 23-ე მუხლი.

¹¹⁵ ხელშეკრულებები, მუხლი 2.2 - ბენეფიციარის ვალდებულებები.

¹¹⁶ 2020 წლის 26 მარტის N ARDAPLN000058 ხელშეკრულება, სააგენტოს თანადაფინანსება - 349,909 ლარი და 2020 წლის 13 ნოემბრის N ARDAPLN000068 ხელშეკრულება (რომელიც გაფორმებულია ARDAPLN000064 განაცხადის საფუძველზე), სააგენტოს თანადაფინანსება - 500,000 ლარი.

¹¹⁷ ხელშეკრულება N ARDAPLN000058 - პირობითად, პირველი სათბური; ხელშეკრულება N ARDAPLN000068 ((რომელიც გაფორმებულია ARDAPLN000064 განაცხადის საფუძველზე) - პირობითად, მეორე სათბური.

¹¹⁸ სს „ტერაბანკი“.

დასკვნა

რეკომენდაცია N1

2.4 ნერგების ხარისხი

და პროფილის შენარჩუნების შეზღუდვები არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების შემთხვევაში მოეწყო ვიზუალურად იდენტური სასათბურე ნაგებობები.¹¹⁹ ერთი განაცხადის¹²⁰ შემთხვევაში კონსტრუქციების შესადარისმა ღირებულებამ 1 კვ.მ-ზე შეადგინა 40.8 ლარი, ხოლო მეორე განაცხადის შემთხვევაში – 70 ლარი.¹²¹

აუდიტის ფარგლებში შედარდა 1 კვ.მ-ზე ორი იდენტური სათბურის ცალკეული ერთგვაროვანი მასალის დანახარჯები.¹²² შედეგად, ჯამურმა თანხობრივმა სხვაობამ შეადგინა – 132,672 ლარი.

აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვებში მნიშვნელოვანი სხვაობებია, როგორც მასალების ერთეულის ფასებს, ასევე ერთ კვადრატულ მეტრზე გახარჯული მასალების რაოდენობებს შორის. ჯამური განსხვავების გაანგარიშების მიზნებისთვის, აუდიტის ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია მხოლოდ რაოდენობებს შორის სხვაობები, რადგან პირველი და მეორე სათბურის ხარჯთაღრიცხვების შედგენის თარიღებისთვის ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი გაიზარდა 11%-ით, 2.8862 ლარიდან 3.2106 ლარამდე. ამასთანავე, რაოდენობებს შორის სხვაობების დაანგარიშების ბაზისად აღებულია, პირველი სათბურის ხარჯთაღრიცხვის მონაცემები, თუმცა აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა აღნიშნულ სათბურთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის სისწორეში (იხ. დანართი N3).

ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, სანერგე მეურნეობის მოწყობასთან დაკავშირებით, არ არის წარმოდგენილი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი ექსპერტის დასკვნები. ასევე, ორივე ბენეფიციარის შემთხვევაში მიწის ნაკვეთები დატვირთულია იპოთეკით, რაც საბანკო დაწესებულების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქმნის აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილებისა და, შესაბამისად, პროფილის ცვლილების რისკს. აღნიშნულ ხელშეკრულებებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთების გასხვისების და პროფილის ცვლილებასთან დაკავშირებული შეზღუდვა არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ამასთანავე, ორი იდენტური სანერგე მეურნეობის შემთხვევაში, 1 კვ.მ-ზე გახარჯულად ნაჩვენები მასალების დანახარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ჯამურ ღირებულებაში 132,672 ლარის სხვაობას წარმოშობს.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ, გაცემული დაფინანსების მიზნობრიობის შენარჩუნების მიზნით, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთების გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ პროცედურების შემუშავება.

კრიტერიუმი: პროგრამის¹²³ თანახმად, ბენეფიციარებმა ნერგები უნდა შეიძინონ სამინისტროს მიერ განსაზღვრული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან. აღნიშნული მეურნეობები დგინდება კვლევითი ცენტრის მიერ

¹¹⁹ რაც ირკვევა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ დასკვნებში მოცემული ფოტომასალებით (როგორც ზემოთ აღინიშნა, N ARDAPLN000058 ხელშეკრულების შემთხვევაში, წარმოდგენილია მხოლოდ ხარვეზიანი დასკვნა) და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

¹²⁰ განაცხადის ნომერი: ARDAPLN000058.

¹²¹ განაცხადის ნომერი: ARDAPLN000064.

¹²² ARDAPLN000068 ხელშეკრულების შემთხვევაში, ასევე მოწყობილია სარწყავი სისტემა და გაწეულია დანახარჯები ბეტონზე, რაც არ არის ვიზუალურ მხარეზე მოქმედი ფაქტორები. ამასთანავე, ურთიერთშედარებისთვის გამოყენებულია მხოლოდ ერთგვაროვანი ხარჯები შესაბამისი ღირებულებებით (სარწყავი სისტემისა და ბეტონზე დანახარჯების გამოკლებით).

¹²³ 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილება, მუხლი 10.

2.4.1 ნერგების ხარისხთან დაკავშირებული ნაკლოვანება

დასკვნა

რეკომენდაცია N2

სანერგე მეურნეობების შემოწმებისას მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციარების მხრიდან ფიქსირდება უკმაყოფილების ფაქტები ნერგების ხარისხთან დაკავშირებით. ამასთანავე, კვლევითი ცენტრის განმარტებით,¹²⁴ სანერგე მეურნეობების კვალიფიციურობის დადგენის პროცედურა არ იძლევა წარმოებული ნერგების ხარისხის გარანტიას, ვინაიდან არ მოიცავს ნერგების სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად ყველა აუცილებელ პროცედურას. კერძოდ, აუცილებელია სარგავი და გასამრავლებელი მასალების სერტიფიცირება, რაც აუდიტის პერიოდში არ ხორციელდებოდა.

სანერგე მეურნეობების კვალიფიციურობის შეფასების არსებული პრაქტიკა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს წარმოებული ნერგების ხარისხს, რაც ხშირად იწვევს ბენეფიციარების უკმაყოფილებას და ხელს უშლის პროგრამის მიზნების მიღწევას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ნერგების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, განიხილოს სარგავ და გასამრავლებელ მასალებზე სერტიფიცირების პროცესის დაწესების შესაძლებლობა.

2.5 მონიტორინგი

2.5.1 მონიტორინგის განხორციელების ხარვეზები

კრიტერიუმები:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ბენეფიციარი ვალდებულია წარადგინოს საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,¹²⁵ ბენეფიციარების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს, არსებული დეტალური პროცედურის შესაბამისად, 2019 წლის ოქტომბრამდე¹²⁶ ახორციელებდა სააგენტო. ბოლო ტრანშის გაცემა კი უნდა მომხდარიყო მხოლოდ დადებითი საველე მონიტორინგის დასკვნის შემდეგ.

სააგენტო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს საველე და დოკუმენტური მონიტორინგი.¹²⁷

საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს ექვემდებარება ყველა დაკმაყოფილებული განაცხადი.¹²⁸

პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის დოკუმენტური მონიტორინგის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების კონტროლი.¹²⁹ მიწის ნაკვეთი, საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი წყლით ან, მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან, არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით,

¹²⁴ 2019 წლის 4 ოქტომბრის N04/1903 წერილი.

¹²⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილების 14¹⁰ მუხლი.

¹²⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით, 24/10/2019 წლიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ადასტურებდა SARAS-ის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.

¹²⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მუხლი 13, პუნქტები: 1 და 2 (2019 წლის 25 ოქტომბრიდან მოქმედი რეგულაცია).

¹²⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მუხლი 13, პუნქტი 2 (2019 წლის 25 ოქტომბრამდე მოქმედი რეგულაცია).

¹²⁹ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 მაისის N1-4/211 ბრძანებით დამტკიცებული დებულების პუნქტი 6.7.3.4 და სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული - სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მიღებული განცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურის პუნქტი 6.1.

უნდა არსებობდეს პერმანენტული წყლის წყარო: ტბა, მდინარე, არხი, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე უნდა იყოს ჭა ან ჭაბურღილი.¹³⁰

ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით¹³¹ დამტკიცებული მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ჩასატარებელი სავსე მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელს ადგილზე უნდა განხორციელებინა: წვეთოვანი სარწყავი სისტემის მუშა მდგომარეობაში ყოფნა სატესტო რეჟიმში გამოცდის გზით. ბოლო ტრანშის გაცემა უნდა მომხდარიყო მხოლოდ დადებითი სავსე მონიტორინგის დასკვნის შემდეგ.

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წლის 25 ოქტომბრამდე მოქმედი რეგულაციებით, სავსე მონიტორინგს ექვემდებარებოდა ყველა დაკმაყოფილებული განაცხადი. რიგ შემთხვევაში სავსე მონიტორინგი განხორციელებულია ბაღების გაშენებისთვის ხელშეკრულებებით დადგენილი პერიოდისა და/ან აგროვადებით დაწესებული ვადებიდან მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ, რაც მიუთითებს, რომ სააგენტო ვერ უზრუნველყოფდა, განესაზღვრა ბაღების გაშენების დადგენილ ვადებთან შესაბამისობა.¹³²

ანალოგიურად, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, რიგ შემთხვევაში, შედგენილია ზემოთ მითითებული ვადებიდან მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ და ვერ დგინდება ბაღების გაშენების ფაქტობრივი პერიოდი.¹³³

ფაქტობრივი გარემოება: მთავრობის დადგენილების თანახმად, 2019 წლის 25 ოქტომბრამდე პერიოდში, სავსე მონიტორინგი სავალდებულო იყო ყველა დაკმაყოფილებული განაცხადისთვის. შერჩეული 140 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში, სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტები სააგენტომ ვერ წარმოადგინა (იხ. დანართი N4), ხოლო 5 შემთხვევაში მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ზემოაღნიშნული 15 ხელშეკრულების თანადაფინანსების საერთო ღირებულება 1,267,769 ლარია.

ფაქტობრივი გარემოება: კვლევითი ცენტრის წერილების¹³⁴ მიხედვით დგინდება, რომ რიგ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ბაღების გაშენებასთან დაკავშირებით გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულებები,¹³⁵ არსებობს წყლის მიწოდების საშუალება დახურული ტიპის მილებით, რითაც შესაძლებელია აღნიშნული ბაღებისთვის მიღებულ იქნეს დაწესებითი გზით სარწყავი წყალი. ასევე მითითებულია, რომ პოტენციურ ბენეფიციარებს აქვთ შეთანხმება შპს „საქართველოს მელიორაციასთან“, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს წყლის მიწოდება მოცემული ფართობებისთვის, ამიტომ

¹³⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ მუხლი 9, პუნქტი 2.

¹³¹ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ნოემბრის N 1-6/438 ბრძანება სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავლის“ (მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი) ფარგლებში ჩასატარებელი დოკუმენტური და სავსე მონიტორინგის მეთოდოლოგიის განსაზღვრის შესახებ.

¹³² მაგალითად: APMAPLG001036 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2019 წლის 30 აპრილამდე, მონიტორინგი განხორციელდა, 442 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 15 ივლისს; APMAPLG000898 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2019 წლის 30 მაისამდე, მონიტორინგი განხორციელდა, 375 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 8 ივნისს; APMAPLG001009 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2019 წლის 30 აპრილამდე, მონიტორინგი განხორციელდა 407 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 10 ივნისს.

¹³³ ARDAPLG000346 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2019 წლის 31 დეკემბრამდე, დასკვნა გაცემულია 239 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 26 აგვისტოს; ARDAPLG000073 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2019 წლის 31 დეკემბრამდე, დასკვნა გაცემულია 171 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 19 ივნისს; ARDAPLG000220 - ბაღის გაშენების ვადა იყო 2020 წლის 31 მაისამდე, დასკვნა გაცემულია 45 დღის გასვლის შემდეგ, 2020 წლის 15 ივლისს.

¹³⁴ N04/706, 23.05.2018; N04/722, 25.05.2018; N04/766, 01.06.2018; N04/967, 23.05.2019.

¹³⁵ APMAPLG000956; APMAPLG000964; APMAPLG001186; APMAPLG000965.

აღნიშნულ არასტანდარტულ შემთხვევებში შესაძლებელია ასეთი წყლის არსებობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ცენტრის მიერ გაცემულია რეკომენდაცია, რომ მოცემული ბენეფიციარების შემთხვევები ჩასმულ იქნეს სახელმწიფო პროგრამის გაძლიერებული მონიტორინგის სქემაში. ასევე, განხორციელდეს არსებული სიტუაციის მრავალჯერადი შეფასება ვეგეტაციის პერიოდში, რათა პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდეს მსგავსი არასტანდარტული შემთხვევების მართვის ოპტიმალური სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციარების ინტერესების დაცვას და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკის შემცირებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ კონკრეტული ღონისძიებების გატარება ვერ დასტურდება. წარმოდგენილი განმარტებით, ვინაიდან საველე მონიტორინგის თანამშრომლებს არ გააჩნიათ კომპეტენცია, რომ შეაფასონ ნერგი ზრდის პროცესში, ბაღებში მსგავსი შემოწმება არ განხორციელბულა.

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების¹³⁶ ფარგლებში, სააგენტოს მიერ 2019 წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული საველე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სარწყავი სისტემა დამონტაჟებული არ იყო. კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის სხდომის N8 ოქმის მიხედვით, ბენეფიციარი დაჯარიმდა 3,000 ლარით¹³⁷ და სარწყავი სისტემის მონტაჟისთვის განესაზღვრა დამატებითი ვადა 2020 წლის 1 მაისამდე.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი 2021 წლის 7 სექტემბრის მოხსენებით ბარათის¹³⁸ თანახმად, შემდგომი მონიტორინგი ვერ ჩატარდა ბენეფიციართან კომუნიკაციის შეუძლებლობის გამო. აუდიტის ფარგლებში მიწის ნაკვეთის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთზე ნერგები და სარწყავი სისტემა არ არსებობს. ამასთანავე, მიწის ნაკვეთები გასხვისებულია.¹³⁹

ფაქტობრივი გარემოება: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების¹⁴⁰ ფარგლებში, სააგენტოს მიერ 2021 წლის 10 თებერვალს განხორციელებული საველე მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ ნუშის ნერგების, დაახლოებით, 40% იყო გამხმარი. მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბენეფიციარის განმარტებით, ნერგების ჩანაცვლება განხორციელდებოდა 2021 წლის გაზაფხულის ბოლომდე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ საველე მონიტორინგი 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული. მიმდინარე აუდიტის ფარგლებში, ბაღის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ნუშის ნერგები არ არის ჩანაცვლებული და ვაშლის და კაკლის ნერგები გამხმარია.

ფაქტობრივი გარემოება: კენკროვნების ქვეკომპონენტში ბენეფიციარის დაფინანსების ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბენეფიციარი ვალდებული იყო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განეხორციელებინა ბაღის გასაშენებლად საჭირო მასალების შესყიდვა/მონტაჟი. აღნიშნული

¹³⁶ 23.04.2019, APMAPLG001255 - 100,000 ლარი.

¹³⁷ ჯარიმის გადახდა დადასტურებულია.

¹³⁸ N2-13/9989.

¹³⁹ აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ, სააგენტომ ბენეფიციარს შეუწყვიტა ხელშეკრულება და დააკისრა მიღებული დაფინანსების დაბრუნება (პროექტების განმხილველი სპეციალური კომისიის 2022 წლის 16 მარტის N12 ოქმი)

¹⁴⁰ 17.10.2018წ., APMAPLG000986 - 88,360 ლარი.

ვალდებულების შესრულების მონიტორინგის მიზნით სააგენტოს შემუშავებული ჰქონდა ინსტრუმენტი (ხელშეკრულების დანართი N1), რომელიც ითვალისწინებდა მასალების მიწოდების ვადას, მაგრამ არ ითვალისწინებდა მასალების მონტაჟის საბოლოო ვადას. შესაბამისად, აღნიშნულ კომპონენტში (მონტაჟი) შეუძლებელი იყო ბენეფიციარის მიერ ვალდებულების შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის აღნიშნული ნაკლოვანება გამოსწორდა 2019 წლის აგვისტოდან, როდესაც სააგენტომ დანართ N1-ში მიწოდების ვადასთან ერთად გაითვალისწინა მასალების მონტაჟის საბოლოო ვადაც.

ამასთანავე, კენკროვნების ქვეკომპონენტის ფარგლებში გაშენებული ბაღების საველე მონიტორინგი ხორციელდებოდა მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ჩასატარებელი საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც არ მიესადაგებოდა კენკროვნების ქვეკომპონენტის პირობებს და არ მოიცავდა კენკროვნების გაშენებისთვის საჭირო მასალების შემოწმების წესს. ასევე აღნიშნული მეთოდოლოგიით არ იყო ნათლად განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებულად მიჩნევის კრიტერიუმები.

დანართი N1-ში ზემოაღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორებამდე, 2019 წლის ივლისში, სააგენტოს შიდა აუდიტისა და კონტროლის დეპარტამენტის მიერ კენკროვანი კულტურების ბაღებში განხორციელებული საველე მონიტორინგის¹⁴¹ ფარგლებში შემოწმებული 19 ბენეფიციარიდან, მხოლოდ ოთხი ბენეფიციარის შემოწმების შედეგები არ მიუთითებდა რაიმე სახის პრობლემაზე. დანარჩენ 15 ბენეფიციართან დაკავშირებით მონიტორინგის ანგარიშში აღწერილი იყო სხვადასხვა სახის ნაკლოვანება. მაგალითად, ზოგიერთ ადგილას არ იყო სრულად დამონტაჟებული ბაღის გასაშენებლად საჭირო მასალები. მიუხედავად იმისა, რომ 15 ბენეფიციარიდან 9 ბენეფიციარს არ ჰქონდა მასალები სრულად დამონტაჟებული, მონიტორინგის შედეგად გაიცა დადებითი დასკვნები, რის საფუძველზეც განხორციელდა ბოლო ტრანშების გაცემა (იხ. ცხრილი N6).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასკვნაში, არც ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში, სატესტო რეჟიმში გამოცდის გზით არ დასტურდება, რომ სარწყავი სისტემა მუშა მდგომარეობაშია. მათ შორის, ორ ბენეფიციართან დაკავშირებით აღნიშნული შემოწმება შეუძლებელი იყო, სარწყავი სისტემების არასრულად დამონტაჟების გამო.

ცხრილი N6. დადებითი დასკვნები შეუსრულებელ ვალდებულებებზე¹⁴²

N	ხელშეკრულების N	დაფინანსების მოცულობა (ლარი)	მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გარემოება	მონიტორინგის გადაწყვეტილება
1	APMAPLB000052	9 621	მასალები დამონტაჟებულია ნაწილობრივ	ვალდებულებები შესრულებულია
2	APMAPLB000151	10 374	მასალები დამონტაჟებულია ნაწილობრივ	ვალდებულებები შესრულებულია
3	APMAPLB000343	10 059	მასალები დამონტაჟებულია ნაწილობრივ	ვალდებულებები შესრულებულია
4	APMAPLB000253	3 997	მასალები დამონტაჟებულია ნაწილობრივ	ვალდებულებები შესრულებულია

¹⁴¹ 2019 წლის 8 აგვისტოს N2-12/3520 მოხსენებითი ბარათი.

¹⁴² ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ

5	APMAPLB000074	10 815	მასალები და დამონტაჟებულია ნაწილობრივ	სარწყავი სისტემა	ვალდებულებები შესრულებულია
6	APMAPLB000105	12 575	მასალები ნაწილობრივ	დამონტაჟებულია	ვალდებულებები შესრულებულია
7	APMAPLB000114	7 443	მასალები ნაწილობრივ	დამონტაჟებულია	ვალდებულებები შესრულებულია
8	APMAPLB000106	10 059	მასალები ნაწილობრივ	დამონტაჟებულია	ვალდებულებები შესრულებულია
9	APMAPLB000096	10 542	მასალები და დამონტაჟებულია ნაწილობრივ	სარწყავი სისტემა	ვალდებულებები შესრულებულია
სულ:		85 485			

დასკვნა

პროგრამით მისაღები შედეგების მაქსიმუმაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ნერგები აგროვადებში გაშენდეს. აღნიშნული შესაძლებელია დადასტურდეს დროული აუდიტორული პროცედურებით. რიგ შემთხვევებში, აუდიტი განხორციელდა აგროვადების გასვლიდან მნიშვნელოვანი პერიოდის შემდეგ. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნები ვერ უზრუნველყოფს რწმუნებას იმის შესახებ, დარგულია თუ არა ნერგები შესაფერის აგროვადებში.

ამასთანავე, მთავრობის დადგენილების თანახმად, 2019 წლის 25 ოქტომბრამდე პერიოდში სავალდებულო საგადასახადო იყო ყველა დაკმაყოფილებული განაცხადისთვის, რასაც სააგენტო რიგ შემთხვევებში ვერ ახორციელებდა. შერჩეული 140 ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში, სააგენტომ ვერ წარმოადგინა სავალდებულო მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხოლო, 5 შემთხვევაში მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ. ზემოაღნიშნული 15 ხელშეკრულების თანადაფინანსების საერთო ღირებულება 1,267,769 ლარია.

აღნიშნულის გამო, სააგენტოს მიერ არ არის დადასტურებული პროგრამის ძირითადი მიზნის – მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების შესრულების მდგომარეობა.

2019 წლის აგვისტომდე კენკროვნების ქვეკომპონენტში ბენეფიციარის მიერ მასალების მონტაჟის მონიტორინგი არ ხდებოდა მონიტორინგის სათანადო ინსტრუმენტის არარსებობის გამო. ასევე, კენკროვნების ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო მონიტორინგის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებდა ბაღის გაშენებისთვის საჭირო მასალებთან დაკავშირებით შემოწმების წესს. აღნიშნული მეთოდოლოგიით არ იყო ნათლად განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულებულად მიჩნევის კრიტერიუმები, რაც იძლეოდა არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. 9 ბენეფიციართან დაკავშირებით, რომელთა დაფინანსების ჯამურმა თანხამ 85,485 ლარი შეადგინა, სავალდებულო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ, არ შეესაბამებოდა სავალდებულო მონიტორინგის მეთოდოლოგიას და დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნების საფუძველზე ბენეფიციარებმა დაფინანსებები მიიღეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ არ არის გათვალისწინებული კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარკვეული კატეგორიის ბაღებში გაძლიერებული მონიტორინგის ჩატარების შესახებ, რაც წარმოქმნის

რეკომენდაცია N3

ბენეფიციარების ინტერესების დაუცველობის და სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ბაღების დადგენილ ვადებში გაშენების დადასტურებისა და ნერგების ხმობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს ბაღების გაშენებისათვის ხელშეკრულებებით დადგენილი ვადებიდან გონივრული პერიოდის ფარგლებში საექსპერტო/აუდიტორული დასკვნების წარმოდგენის ვალდებულების განსაზღვრა.

კრიტერიუმი: პროგრამების საკითხების განმხილველი სპეციალური კომისიის დებულების თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების/პრობლემატური საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.¹⁴³

სამინისტროს ყოველწლიურ ანგარიშებში ასახულია პროექტის – „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენებული კულტურების საპროგნოზო მოსავალი, წლების მიხედვით.

ფაქტობრივი გარემოება: 8 შემთხვევაში კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განმეორებითი მონიტორინგის საჭიროებაზე, თუმცა მონიტორინგი არ განხორციელებულა.¹⁴⁴ ასევე რამდენიმე შემთხვევაში კომისიამ დააკმაყოფილა ბენეფიციარების მოთხოვნები ვალდებულებების შესრულების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით, თუმცა არ მიიღო გადაწყვეტილება განმეორებითი მონიტორინგის ჩატარების შესახებ. შესაბამისად, განმეორებითი მონიტორინგები არ განხორციელებულა¹⁴⁵ 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით.

სააგენტოში არ არსებობს ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების შესრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაშენებული ბაღების მონიტორინგის პრაქტიკა, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემდა, სათანადოდ გაეანალიზებინა პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგები. ასევე, სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის განხორციელებით ბენეფიციარების მიერ მიღებული მოსავლის შესახებ.

დასკვნა

სააგენტომ ზოგიერთ შემთხვევაში ვერ წარმოადგინა განმეორებითი მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტები. ასევე, რიგ შემთხვევებში სააგენტოს სპეციალურმა კომისიამ დააკმაყოფილა ბენეფიციარების მოთხოვნები ვალდებულებების შესრულების ვადების გაგრძელების შესახებ, თუმცა გადაწყვეტილება განმეორებითი მონიტორინგის ჩატარების შესახებ არ იქნა მიღებული.

სააგენტოში არ არსებობს ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების შესრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაშენებული ბაღების მონიტორინგის პრაქტიკა, რაც საშუალებას მისცემდა, სათანადოდ გაეანალიზებინა პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგები.

სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის განხორციელებით ბენეფიციარების მიერ მიღებული მოსავლის ან/და შემოსავლების შესახებ.

¹⁴³ 2019 წლის 12 ივლისის N1-6/527 ბრძანებებით დამტკიცებული დებულების მუხლი 1.1.

¹⁴⁴ მაგალითად: APMAPLG000989, APMAPLB000305, APMAPLB000110, APMAPLG001070, - კომისიის 2019 წლის 1 ოქტომბრის N6 ოქმი; APMAPLG001119, APMAPLG001225/1 - კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის N8 ოქმი (განმეორებითი მონიტორინგი ჩატარდა 2021 წლის 10 დეკემბერს); APMAPLG001148 - კომისიის 2020 წლის 29 სექტემბრის N34 ოქმი; ARDAPLG000423 - კომისიის 2020 წლის 9 ივლისის N23 ოქმი

¹⁴⁵ APMAPLG000915 - კომისიის 2018 წლის 13 ივლისის N1 ოქმი; APMAPLG000703 (განმეორებითი მონიტორინგი ჩატარდა 2021 წლის 20 დეკემბერს), APMAPLG000666 - კომისიის 2018 წლის 14 დეკემბრის N3 ოქმი; APMAPLB000052 - კომისიის 03.07.2020 წლის 3 ივლისის N22 ოქმი.

რეკომენდაცია N4

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ, პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგების სრულყოფილი ანალიზის და შემდგომში მისი გაუმჯობესების მიზნით, ყველა კომპონენტის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ასახოს ბენეფიციარების გრძელვადიანი ვალდებულებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიწის ნაკვეთის გასხვისების შეზღუდვის, ბაღის დადგენილი წესებით ექსპლუატაციის, პროფილის შენარჩუნების და ყოველწლიურად მიღებული მოსავლის შესახებ მიახლოებითი ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ. ასევე, საველე მონიტორინგის მეთოდოლოგიით განსაზღვროს ბაღების გაშენების შემდგომ წლებში მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა და კრიტერიუმები.

2.6 ბაღების ვიზუალური დათვალიერება

2.6.1 ბაღების დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: პროგრამის ძირითადი მიზანი საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტიანი გამოყენება, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და საექსპერტო პოტენციალის გაზრდა, მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების გზით.

ფაქტობრივი მდგომარეობა: პროგრამის მიზნების მიღწევის ანალიზის მიზნით, აუდიტორული პროცედურების განხორციელებისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვიზუალურად დათვალიერა 2018-2020 წლებში მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, 5,181,632 ლარით დაფინანსებული 61 ბაღი. აღნიშნული პროცედურით გამოვლინდა, რომ 1,332,366 ლარით დაფინანსებულ 15 ბაღში ნერგების 100% გამხმარია (იხ. დანართი N5).¹⁴⁶ დათვალიერების შემაჯამებელი შედეგები იხ. ცხრილში N7.

ცხრილი N7. პროგრამით დაფინანსებული ბაღების ადგილზე დათვალიერების შედეგები¹⁴⁷

ბაღების რაოდენობა	2018-2020 წლების დაფინანსება (ლარი)	სტატუსი	% დაფინანსებიდან
15	1,332,366	100%-ით გამხმარი	26%
10	733,291	ნერგები ნაწილობრივ ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამხმარია (იხ. დანართი N6)	14%
36	3,115,975	ნერგები არ არის გამხმარი ან გამხმარია მათი მხოლოდ არაარსებითი ნაწილი	60%
61	5,181,632		100%

დასკვნა

აუდიტორული შერჩევით, მნიშვნელოვანი რისკების მქონე ბაღების ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 2018-2020 წლებში მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, 1,332,366 ლარით დაფინანსებულ 15 ბაღში ნერგების 100% გამხმარია. ამასთანავე, 10 ბაღის შემთხვევაში, რომლებიც ჯამურად დაფინანსდა 733,291 ლარის ოდენობით, ნერგების გარკვეული ნაწილი გამხმარია, ხოლო 3,115,975 ლარით დაფინანსებულ 36 ბაღში – ნერგების არსებითი ნაწილი გახარებულია.

რეკომენდაცია N5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ორგანიზება გაუწიოს ნერგების ხმობის გამომწვევი მიზეზების კვლევას, იმ ბაღების ფარგლებში სადაც ნერგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამხმარია. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში შევიდეს სათანადო ცვლილებები, რაც დადებითად აისახება პროგრამით მისაღწევ საბოლოო მიზნებზე.

¹⁴⁶ ბაღების ვიზუალურად დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა, რომ ნერგები ან გამხმარია ან ფიზიკურად არ არსებობს.

¹⁴⁷ დაფინანსების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ

2.7 პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება

2.7.1 პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმები:

- საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით,¹⁴⁸ ქვეპროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, საქართველოს 2018-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ საქართველოს კანონებით დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები, ექვემდებარება სრულყოფილ გაანგარიშებებსა და სათანადო დასაბუთებებს;

- საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“¹⁴⁹ მიხედვით დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა.¹⁵⁰

- სააგენტოს 2019 წლის 12 ივლისის N1-6/524 ბრძანებით დამტკიცებული მრავალწლიანი კულტურების ბაღების დაფინანსების კომპონენტის განაცხადის სტანდარტული ფორმით (დანართი N1.7) დადგენილია პირობა, რომ განაცხადი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი არ იქნება ამოწურული.

ფაქტობრივი გარემოებები: პროგრამით, გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად 2018-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან კონკრეტული პრიორიტეტების გათვალისწინებით დაფინანსებული პროექტების ჯამურმა საკასო ხარჯმა 46,356,277 ლარი შეადგინა. ცალკეული წლების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის დასაფინანსებლად გახარჯული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში N8.

ცხრილი N8. ინფორმაცია 2018-2020 წლების ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით (ლარი)¹⁵¹

პროგრამული კოდი	წელი	ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნება	ბიუჯეტით დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანხა	დაზუსტებულ ბიუჯეტის ზემოთ გაფორმებული ხელშეკრულებების თანხა
31 05 04	2018	8,000,000	9,563,000	9,562,821	11,923,235	2,360,235
31 05 04	2019	13,000,000	15,623,000	15,613,498	16,037,403	414,403
31 05 04	2020	13,000,000	21,182,500	21,179,958	32,649,055	11,466,555
სულ:		34,000,000	46,368,500	46,356,277	60,609,693	14,241,193

სააგენტომ ვერ წარმოადგინა 2018-2020 წლების საბიუჯეტო განაცხადების დეტალური გაანგარიშებები. აუდიტის პერიოდში, ქვეპროგრამის საბიუჯეტო რესურსი იგეგმებოდა ხარვეზებით. მაგალითად, 2018 წელს ბიუჯეტით დამტკიცდა 8,000,000 ლარის ოდენობის ასიგნება, რაც განკუთვნილი იყო 1,500 ჰა ბაღის და ერთი სანერგე მეურნეობის გასაშენებლად. დაგეგმილი თანხიდან, საბიუჯეტო კოდექსის¹⁵² მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, 2,547,134 ლარი მიმართულია 2016 და 2017 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დასაფინანსებლად.

¹⁴⁸ 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁹ მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁰ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵¹ ინფორმაცია მოპოვებულია 2018-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებიდან.

¹⁵² მუხლი 11, პუნქტი „ა“.

ამასთანავე, 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული 13,000,000 ლარის ასიგნება, სამინისტროს სხვადასხვა ქვეპროგრამიდან და ღონისძიებიდან გადანაწილების შედეგად გაიზარდა 8,182,500 ლარით (63%). სააგენტომ ვერ წარმოადგინა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თანხით ზრდის შესახებ სათანადო დასაბუთება.

სააგენტო, საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ,¹⁵³ ბენეფიციარებთან ხელშეკრულებებს აფორმებდა დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილ რესურსებზე გადაჭარბებით. კერძოდ, 2018-2020 წლებში სააგენტოს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა სულ შეადგინა 46,368,500 ლარი, ხოლო ბენეფიციარებთან გაფორმდა ჯამში 60,609,693 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, რაც 14,241,193 ლარით მეტია დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობაზე, მათ შორის, 11,466,555 ლარი უკავშირდება 2020 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

დასკვნა

სააგენტომ ვერ წარმოადგინა 2018-2020 წლების საბიუჯეტო განაცხადების დეტალური გაანგარიშებები. 2018-2020 წლებში ქვეპროგრამის საბიუჯეტო რესურსი იგეგმებოდა ხარვეზებით. კერძოდ, თავდაპირველად ჯამურად დამტკიცებული 34,000,000 ლარის ასიგნებები დაზუსტდა 46,368,500 ლარამდე, ხოლო ამავე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 60,609,693 ლარი შეადგინა.

2018-2020 წლებში სააგენტოს მიერ ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდებოდა დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში, რის გამოც ხდებოდა კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ფინანსური ვალდებულებების ფაქტობრივი აღიარება. შედეგად, ასეთი წესით ბენეფიციარებთან გაფორმებულმა ხელშეკრულებების ღირებულებამ 2018 წელს – 2,360,235 ლარი, 2019 წელს – 414,403 ლარი, ხოლო 2020 წელს – 11,466,555 ლარი შეადგინა.

2.7.2 პროგრამით გაუთვალისწინებელი კულტურების დაფინანსება

კრიტერიუმები: პროგრამაში 2020 წლის 5 მარტს შეტანილი ცვლილებით,¹⁵⁴ 2020 წლის 11 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა განხორციელებულიყო კახეთის რეგიონში საღვინე ვაზის ნერგების თანადაფინანსება.

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს მიერ პროგრამაში შესატანი ცვლილების პროექტი მომზადდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მთავრობის სხდომაზე გატანის მიზნით წარედგინა 2020 წლის 21 თებერვალს.¹⁵⁵ აღნიშნულის მიუხედავად, 2020 წლის 21 თებერვლიდან 5 მარტამდე პერიოდში, კახეთის საღვინე ვაზის ბაღების გაშენების თანადაფინანსების მოთხოვნით, სააგენტოს მიერ მიღებულია ოთხი ბენეფიციარის განაცხადი, მათ შორის: სამი ბენეფიციარის¹⁵⁶ მიერ 2020 წლის 26 თებერვალს და 4 მარტს სააგენტოში წარდგენილ განაცხადებზე,¹⁵⁷ თავდაპირველი დასაბუთებული უარყოფითი პასუხის მიუხედავად, მიზეზების აღმოფხვრის გარეშე, სააგენტომ 2020 წლის 21 აპრილს, 23 აპრილს და 7 აპრილს მიიღო დადებითი გადაწყვეტილებები და გაფორმდა ხელშეკრულებები თანადაფინანსების თანხების გამოყოფის შესახებ.

¹⁵³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 მარტის N148 დადგენილება („დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე).

¹⁵⁵ 2020 წლის 21 თებერვლის N6/882 წერილი.

¹⁵⁶ ოთხიდან - ერთ ბენეფიციართან, მისი უარის გამო, ხელშეკრულება არ გაფორმდა (განაცხადი ARDAPLG000641).

¹⁵⁷ ARDAPLG000650 - 45,638 ლარის ჯამური თანადაფინანსებაზე, ARDAPLG000654 - 9,922 ლარის ჯამური თანადაფინანსებასა და ARDAPLG000663 - 239,221 ლარის თანადაფინანსების მოთხოვნაზე.

დასკვნა

ამასთანავე, ბენეფიციარებზე თანადაფინანსების თანხები ჩარიცხულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ 239,221 ლარით დაფინანსებულ ერთ-ერთ ნაკვეთზე¹⁵⁸ საღვინე ვაზის ნერგები 100%-ით გამხმარია.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2020 წლის 5 მარტს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2020 წლის 11 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, არ უნდა დაფინანსებულიყო კახეთის რეგიონში საღვინე ვაზის ნერგების შეძენისა და სარწყავი სისტემის მოწყობის ხარჯები, თუმცა სააგენტომ მთავრობის დადგენილებების მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, 3 ბენეფიციარი დააფინანსა, ჯამში – 294,800 ლარით, რაც არამიზნობრივი ხარჯია. ამასთანავე, ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ 239,221 ლარით დაფინანსებულ ბაღში საღვინე ვაზის ნერგების 100% გამხმარია.

კრიტერიუმი: მრავალწლიანი კულტურების ბაღების პოტენციალი და გაშენების შესაძლებლობა განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, პროგრამაში განსაზღვრულია იმ მრავალწლიანი კულტურების სახეობები, რომლებიც შესაძლებელია გაშენდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.¹⁵⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების¹⁶⁰ ფარგლებში, თანადაფინანსების სახით, ბენეფიციარზე გაცემულია 17,395 ლარი. თანადაფინანსება გაცემულია გურიის რეგიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე, კაკლის კულტურის გაშენების მიზნით. ხელშეკრულების გაფორმების პერიოდისათვის, გურიის რეგიონში კაკლის კულტურის გაშენება გათვალისწინებული არ იყო.¹⁶¹

დასკვნა

ერთ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია დადგენილი რეგულაციების შეუსაბამოდ, რის შედეგად, გაწეულია 17,395 ლარის არამიზნობრივი ხარჯი.

2.7.3 პროგრამის ბიუჯეტის ანგარიშების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმები ითვალისწინებს: წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ და დაზუსტებულ მოცულობებს, წლიურ საკასო შესრულებას და საკასო შესრულების პროცენტს წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით. მათი შესრულება, პროგრამის დასახული და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების შესრულების მაჩვენებლებთან ერთად, პროგრამის შესრულების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია.

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2020 წლების ქვეპროგრამის შესრულების ანგარიშები ძირითადად არ არის შედგენილი ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმებით გათვალისწინებული სტრუქტურით. ამასთანავე, მითითებული წლების ანგარიშების ტექსტობრივ ნაწილში ასახული მონაცემები არის ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამი და იგი 2018 წელს – 2,683,353 ლარით, 2019 წელს – 583,399 ლარით და 2020 წელს – 11,466,356 ლარით აღემატება ამავე წლებში ქვეპროგრამისთვის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ჯამს.

¹⁵⁸ ARDAPLG000663 განაცხადი.

¹⁵⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მუხლი 3, პუნქტი 2 და დანართი N1.

¹⁶⁰ APMAPLG000826 – 17,546 ლარი.

¹⁶¹ სახელმწიფო პროგრამის – „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, კაკლის კულტურის გაშენების შესაძლებლობა გურიის რეგიონში დადგინდა 2018 წლის 31 მაისიდან.

დასკვნა

2.7.4 ჯარიმებსა და პირგასამტეხლობებთან დაკავშირებული ხარვეზები

აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკით, რომლის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში ბაღების გაშენება და თანადაფინანსება ხორციელდებოდა შემდგომ საანგარიშო პერიოდებში. მათი ასახვა მიმდინარე საანგარიშო წლების ანგარიშებში ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს.

2018-2020 წლებში, სააგენტოს მიერ დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებების ამოწურვის პირობებში, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ბაღების გაშენება და თანადაფინანსება უმეტესწილად, ხორციელდებოდა შემდგომ საანგარიშო პერიოდებში. მათი ასახვა მიმდინარე საანგარიშო წლების ანგარიშებში ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს.

კრიტერიუმები: პროგრამის ფარგლებში „ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების“ პირობ(ებ)ის დარღვევის გამო, განსაზღვრულია საჯარიმო სანქციები.¹⁶²

სააგენტოს ბრძანებით¹⁶³ დამტკიცებულია პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების დამუშავებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურები, რომელთა მიხედვით, დაჯარიმების შემთხვევაში, ბენეფიციარმა გონივრულ ვადაში უნდა განახორციელოს დარიცხული თანხის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის შეუსრულებლობისას, საკითხი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა სააგენტოს იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი რეაგირების მიზნით.

ფაქტობრივი გარემოება: ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის გამო, სააგენტოს მიერ 2018-2020 წლებში დარიცხული და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული საჯარიმო სანქციების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში N9.

ცხრილი N9. ჯარიმებთან და სანქციებთან დაკავშირებული საბიუჯეტო შემოსავლები (ლარი)¹⁶⁴

საანგარიშო წელი	ბენეფიციარების რაოდენობა	დარიცხული თანხა	ბიუჯეტში გადახდილი
2018	101	104,134	65,809
2019	201	196,291	80,247
2020	289	118,456	123,086 ¹⁶⁵

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ბაღების გაშენების ვადების გახანგრძლივების შემთხვევებში, სააგენტოს მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღონისძიებები ქვემოთ ჩამოთვლილი ბენეფიციარების მიმართ არ გატარდა და საჯარიმო სანქციების დარიცხვა მათზე არ განხორციელდა. კერძოდ:

¹⁶² სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის N1-6/401 ბრძანება.

¹⁶³ სააგენტოს 2019 წლის 12 ივლისის N 1-6/524 ბრძანება.

¹⁶⁴ ინფორმაცია წარმოდგენილია სააგენტოს მიერ

¹⁶⁵ სხვაობა დარიცხულ და ბიუჯეტში გადახდილ თანხებს შორის - 4,630 ლარია, რაც წინა წლებში დარიცხული და გადაუხდეელი თანხაა.

ერთ შემთხვევაში¹⁶⁶ – ბენეფიციარს სააგენტოს პროექტების განმხილველი კომისიის მიერ, თანხის ანაზღაურებიდან¹⁶⁷ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დაეკისრა ზედმეტად ანაზღაურებული 73,500 ლარის უკან დაბრუნება,¹⁶⁸ თუმცა სააგენტოს აღნიშნული თანხა არ ჰქონდა აღრიცხული მოთხოვნების შესაბამის საბალანსო ანგარიშზე, ასევე თანხა ხაზინაში არ იყო დაბრუნებული. ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, საბიუჯეტო რესურსი 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირიცხება და განიკარგება მიმწოდებელი კომპანიის მიერ. ამასთანავე, სააგენტომ ბენეფიციარს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო არ დააკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

ორ ბენეფიციარს,¹⁶⁹ რომლებთანაც 2018 და 2019 წლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები მრავალწლიანი ბაღების გაშენებასთან დაკავშირებით და რომელთა თანადაფინანსებაზეც გახარჯულია 97,734 და 100,000 ლარი, 2021 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით გაშენებული ბაღები არ გააჩნიათ. ზემოაღნიშნული ორი ბენეფიციარიდან ერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, სააგენტოს მიერ შესაბამისი პირგასამტეხლო და ჯარიმა არ არის დაკისრებული.¹⁷⁰

ოთხ ბენეფიციარზე¹⁷¹ სააგენტოს სპეციალური კომისიის მიერ, სხვადასხვა დროს, განხორციელდა თანადაფინანსების სრული მოცულობით პირგასამტეხლოს დაკისრება, თუმცა შემდგომ პერიოდებში იმავე კომისიის მიერ, შესაბამისი საჯარიმო სანქციების დაკისრების გარეშე მოხდა აღნიშნული პირგასამტეხლოების გაუქმება და ახალი ვადების განსაზღვრა, რამაც საბიუჯეტო რესურსების გამოყენებისა და ბაღების გაშენების პროცესი მნიშვნელოვნად გაახანგრძლივა.

შვიდი ბენეფიციარის¹⁷² შემთხვევაში, წარმოდგენილია სარწყავი სისტემის მოწყობისა და ნერგების მიღების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები, გადარიცხულია თანადაფინანსების თანხები, თუმცა მონიტორინგის დასკვნების მიხედვით, ხელშეკრულების პირობები დადგენილ ვადებში არ იყო შესრულებული. მათზე გავრცელდა საჯარიმო სანქციები და გაუხანგრძლივდათ ვალდებულებების შესრულების ვადები. აქედან, სამ შემთხვევაში, ბაღები სრულად გამხმარია.¹⁷³ ორ შემთხვევაში,¹⁷⁴ განმეორებითი მონიტორინგი არ ჩატარდა და გაურკვეველია ვადების გაგრძელების შემდეგ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, სააგენტომ ბენეფიციარებს პირგასამტეხლოს სახით არ დააკისრა თანადაფინანსების სრული თანხების უკან დაბრუნება. დანარჩენ ორ შემთხვევაში,¹⁷⁵ განმეორებითი მონიტორინგის დასკვნების თანახმად, ვალდებულება შესრულებულია.

¹⁶⁶ 2019 წლის 6 ივნისის N APMAPLG001281 ხელშეკრულება.

¹⁶⁷ 2019 წლის 5 ივნისის ბენეფიციარმა სააგენტოში წარადგინა განაცხადი, ხოლო ტრანშის გაცემა სახაზინო სამსახურიდან განხორციელდა 2019 წლის 25 ივნისს.

¹⁶⁸ 2020 წლის 9 ივლისის სხდომა.

¹⁶⁹ ხელშეკრულებები: N APMAPLG001055 და N APMAPLG001256.

¹⁷⁰ N APMAPLG001256 ხელშეკრულების ფარგლებში, ბენეფიციარს 2022 წლის 16 მარტს სააგენტოს მიერ დაეკისრა თანადაფინანსების სრული თანხის 100,000 ლარის სააგენტოსთვის დაბრუნება.

¹⁷¹ APMAPLG000950; APMAPLG000951; APMAPLG001197; APMAPLG001130.

¹⁷² APMAPLG001070; APMAPLG001230; APMAPLG001231; APMAPLG001255; APMAPLG001119; APMAPLG000955; APMAPLG001225/1.

¹⁷³ APMAPLG001255, APMAPLG001119 (ბაღების ადგილზე დათვალიერების შედეგების მიხედვით); APMAPLG000955 (სააგენტოს მონიტორინგის შედეგების მიხედვით).

¹⁷⁴ APMAPLG001070 და APMAPLG001225/1

¹⁷⁵ APMAPLG001230 და APMAPLG001231.

დასკვნა

ბენეფიციარს სააგენტოს პროექტების განმხილველი კომისიის მიერ, თანხის ანაზღაურებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დაეკისრა 73,500 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება, თუმცა სააგენტოს მიერ აღნიშნული თანხა არ იყო აღრიცხული მოთხოვნების შესაბამის საბალანსო ანგარიშზე, ასევე თანხა არ იყო დაბრუნებული ხაზინის ანგარიშზე. ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, საბიუჯეტო რესურსი 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირიცხება და განიკარგება მიმწოდებელი კომპანიის მიერ;

ორი ბენეფიციარის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სააგენტოს მიერ შესაბამისი ღონისძიებები არ არის განხორციელებული, ვინაიდან სააგენტოს მიერ მონიტორინგი არ ჩატარებულა;

ოთხი ბენეფიციარის შემთხვევაში, სააგენტოს სპეციალური კომისიის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელდა თანადაფინანსების სრული მოცულობით პირგასამტეხლოს დაკისრება, თუმცა შემდგომ პერიოდებში იმავე კომისიის მიერ, შესაბამისი საჯარიმო სანქციების დაკისრების გარეშე, გაუქმდა აღნიშნული პირგასამტეხლოები და განისაზღვრა ახალი ვადები.

შვიდი ბენეფიციარის შემთხვევაში, წარმოდგენილია სარწყავი სისტემის მოწყობისა და ნერგების მიღების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები, გადარიცხულია თანადაფინანსების თანხები, თუმცა მონიტორინგის დასკვნების მიხედვით, ხელშეკრულების პირობები დადგენილ ვადებში არ იყო შესრულებული.

რეკომენდაცია N6

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ საბიუჯეტო რესურსების გამოყენების გაჭიანურების გამორიცხვის მიზნით, განიხილოს ბაღების კომპონენტის ფარგლებში ნერგების მიმწოდებელ კომპანიებსა და ბენეფიციარებს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებში მისი სამართლებრივი ფორმით მონაწილეობის საკითხი.

აუდიტორები**ხელმოწერა****ქართლოს სახვამე**

წამყვანი აუდიტორი

ნოდარ ვეკუა

მთავარი აუდიტორი

მამუკა გოგოხია

წამყვანი აუდიტორი

ალექსანდრე მღებრიშვილი

უფროსი აუდიტორი

სიმონ კიპაროძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

გიორგი სულამე

აუდიტორ-ასისტენტი

დანართები

დანართი N1

ნერგების დარგვის სარეკომენდაციო არეებიდან გადახრები, რომლებიც აღემატება 20%-ს

ხელშეკრულება	თარიღი	კულტურა	ნერგების მინ. რაოდ. 1 ჰა-ზე	რეკომენდებული დარგვის არეალი	ნერგების მაქს. რაოდ. 1 ჰა-ზე	განაცხადით მოთხოვნილი რაოდ. 1 ჰა-ზე	მეტობა 1ჰა-ზე (რაოდ.)	მეტობა 1 ჰა- ზე (%)
ARDAPLG000203	09.12.2019	ნუში	300	5X4	500	1700	1200	240
ARDAPLG000813	28.07.2020	მაყვალ	2500	2.5X1.3	3077	7444	4367	142
ARDAPLG001157	25.12.2020	ბალი	660	5X3	667	1560	893	134
ARDAPLG000342	16.12.2019	ვაშლი M9	1660	3.6X1	2778	5882	3104	112
ARDAPLG000553	27.02.2020	ვაზი	3205	2.5X1.25	3200	6750	3550	111
ARDAPLG000220	13.11.2019	ქლიავი	660	5X3	667	1178	511	77
APMAPLG001215	11.04.2019	ვაშლი MM106	660	5X2.5	800	1400	600	75
ARDAPLG000745	23.03.2020	კაკალი	155	7X5	286	500	214	75
APMAPLG001130	14.03.2019	ვაშლი MM106	660	5X2.5	800	1333	533	67
ARDAPLG000233	02.12.2019	ნუში	300	5X4	500	825	325	65
APMAPLG001068	17.01.2019	ნუში	300	5X4	500	825	325	65
ARDAPLG000745	23.03.2020	ნუში	300	5X4	500	818	318	64
APMAPLG000926	17.04.2018	მსხალი	600	4X1.25	2000	3045	1045	52
APMAPLG001007	15.11.2018	ატამი	500	5X3	667	1000	333	50
RDAPLG001159	20.11.2020	ზეთისხილი	500	5X3	667	1000	333	50
ARDAPLG000596	20.02.2020	ვაზი	3205	2.5X1.25	3200	4773	1573	49
ARDAPLG000285	17.12.2019	ვაზი	3205	2.5X1.25	3200	4687	1487	46
ARDAPLG001070	03.12.2020	მსხალი	600	4X1.25	2000	2860	860	43
ARDAPLG000974	11.11.2020	კაკალი	155	7X5	286	391	105	37
APMAPLG001024	21.12.2018	მაყვალ	2500	2.5X1.3	3077	4148	1071	35
APMAPLG000767	11.01.2018	კაკალი	155	7X5	286	383	97	34
APMAPLG000934	13.04.2018	ქლიავი	660	5X3	667	867	200	30
ARDAPLG000578	21.04.2020	მაყვალ	2500	2.5X1.3	3077	4000	923	30
APMAPLG000891	23.04.2018	ქლიავი	660	5X3	667	857	190	29
ARDAPLG001053	20.11.2020	ნუში	300	5X4	500	638	138	28
APMAPLG001105	28.12.2018	მსხალი	600	4X1.25	2000	2527	527	26
APMAPLG000998	13.11.2018	კაკალი	155	7X5	286	359	73	26
ARDAPLG000331	29.01.2020	ვაზი	3205	2.5X1.25	3200	4039	839	26
APMAPLG000891	20.09.2018	ვაშლი MM106	660	5X2.5	800	1000	200	25
ARDAPLG001076	18.11.2020	ნუში	300	5X4	500	621	121	24
ARDAPLG001047	24.11.2020	ნუში	300	5X4	500	610	110	22

დანართი N2

მთავრობის დადგენილებაში შეტანილი დაუსაბუთებელი ცვლილებები

საქართველოს მთავრობის დადგენილება		ცვლილებების შინაარსი
თარიღი	ნომერი	
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, შინდის კულტურის სარეკომენდაციო კვების არე განისაზღვრა: 6X4, 7X4 მეტრის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში აღნიშნული კვების არე განსაზღვრული იყო: 6X4, 7X4, 5X4 მეტრის ოდენობით.
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, მანდარინის კულტურის სარეკომენდაციო კვების არე განისაზღვრა 5X4, 5X3, 4X2.5, 4X2 მეტრის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში აღნიშნული კულტურისთვის სარეკომენდაციო კვების არე განსაზღვრული არ ყოფილა.
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, ფორთოხის კულტურის ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განისაზღვრა 400 ნერგის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში, აღნიშნული ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განსაზღვრული იყო 500 ნერგის ოდენობით.
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, კაკლის კულტურის ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განისაზღვრა 220 ნერგის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში, აღნიშნული ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განსაზღვრული იყო 155 ნერგის ოდენობით.
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, თხილის კულტურის ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განისაზღვრა 400 ნერგის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში, აღნიშნული ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განსაზღვრული იყო 300 ნერგის ოდენობით.
15.03.2018	127	16.03.2018-დან 31.05.2018-მდე პერიოდში, N4 დანართის მიხედვით, ნუშის კულტურის ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განისაზღვრა 400 ნერგის ოდენობით. 16.03.2018-მდე და 31.05.2018-ის შემდეგ პერიოდებში, აღნიშნული ნერგების მინიმალური რაოდენობა 1 ჰექტარზე განსაზღვრული იყო 300 ნერგის ოდენობით.
27.02.2019	119	28.02.2019 წლიდან ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი ფსტის (ფისტა) ერთი ნერგის ღირებულება შემცირდა 10.5 ლარიდან 5.6 ლარამდე.
15.05.2019	225	16.05.2019 წლიდან ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი ფსტის (ფისტა) ერთი ნერგის ღირებულება ისევ გაიზარდა 5.6 ლარიდან 10.5 ლარამდე. ¹⁷⁶
05.03.2020	148	დანართ N1-დან კახეთის რეგიონისთვის ამოღებულია საღვინე ვაზი, მხოლოდ ქართული ჯიშები (გარდა საფერავისა და რქაწითლისა).
05.03.2020	148	დანართი N1-დან კაკლის და ნუშის კულტურებზე მოხსნილია შეზღუდვა - ორივე გვიანმოყვავილე.
03.07.2020	409	მე-16 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულია ჩანაწერი: „უვირუსო ნერგების კონტროლს განახორციელებს ცენტრი მის მიერ შემუშავებული პროცედურის შესაბამისად“.

¹⁷⁶ მთავრობის დადგენილებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ სამინისტროში გაგზავნილი წერილის (N6/720, 23.04.2019) დანართში, ფსტის (ფისტა) ერთი ნერგის ღირებულება მოცემულია უცვლელად, 5.6 ლარის ოდენობით.

დანართი N3

ორი იდენტური მარტივი ლითონის კონსტრუქციის 1 კვ.მ-ზე გახარჯული ერთგვაროვანი მასალების შედარებითი ანალიზი

დასახელება	ზომის ერთეული	ARDAPLN000058 (ინვოისი-03.01.2020)		ARDAPLN000064 (ინვოისი-11.05.2020)		1 კვ.მ-ზე დახარჯული მასალები (მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით)		სხვაობა (ლარი)
		ერთ. ფასი	რაოდ.	ერთ. ფასი	რაოდ.	ARDAPLN000058	ARDAPLN000064	
		A	B	C	D	E	(E-D) x 8,400 x A	
სანერგეების ფართობი სულ	კვ.მ.		12,250		8,400			
კვადრატული მილი 40/20/2 მმ	მეტრი	3.80	49,000	4.50	48,000	4.00	5.71	54,720
კვადრატული მილი 20/20/2 მმ	მეტრი	3.20	35,000	3.00	36,000	2.86	4.29	38,400
მილი დ-322 მმ	მეტრი	3.60	21,700	6.00	24,000	1.77	2.86	32,832
საჭიმი	მეტრი	5.00	4,550	6.00	3,120	0.37	0.37	0
ელექტროდი	შეკვრა	14.00	700	30.00	960	0.06	0.11	6,720
სასათბურე ფირი	კვ.მ.	2.00	21,000	2.50	14,400	1.71	1.71	0
სხვაობა								132,672

დანართი N4

ხელშეკრულებები, რომელთა სავალდებულო მონიტორინგი ვერ დასტურდება¹⁷⁷

N		თარიღი	თანადაფინანსება (ლარი)	კულტურა	ფართი (ჰა)	რაიონი
1	APMAPLG001010	12.11.2018	100,000	ნუში	19.9	საგარეჯო
2	APMAPLG001011	19.11.2018	100.000	ნუში	19.9	საგარეჯო
3	APMAPLG000798	21.02.2018	84,306	ლურჯი მოცვი	6	წყალტუბო
4	APMAPLG000982	29.10.2018	100,000	ნუში	20	სიღნაღი
5	APMAPLG000799	20.02.2018	84,389	ლურჯი მოცვი	6	წყალტუბო
6	APMAPLG001027	10.01.2019	64,650	ქლიავი	15	ბაღდათი
7	APMAPLG001258	13.05.2019	79,500	ლურჯი მოცვი	5.30	ხონი
8	APMAPLG001034	15.11.2018	99,750	ლურჯი მოცვი	6.65	სენაკი
9	APMAPLG000975	25.09.2018	99,893	ლურჯი მოცვი	6.67	ხონი
10	APMAPLG000971	20.07.2018	95,185	კაკალი	20	წყალტუბო
11	APMAPLG001256	24.04.2019	100,000	ჟოლო	10.45	სამტრედია
12	APMAPLG001215	11.04.2019	86,255	ვაშლი MM106	10	გორი
13	APMAPLG001209/1	25.04.2019	14,546	ქლიავი	3	ამბროლაური
14	APMAPLG001242	22.04.2019	79,795	ვაშლი M9	7.97	გორი
15	APMAPLG001259	13.05.2019	79,500	ლურჯი მოცვი	5,3	ხონი
			1,267,769		142.3	

დანართი N5

¹⁷⁷ APMAPLG001027, APMAPLG000971, APMAPLG001256, APMAPLG001215, APMAPLG001242 ხელშეკრულებების შემტხვევაში მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ.

ბაღების ჩამონათვალი, სადაც ნერგების 100% გამხმარია¹⁷⁸

N	ხელშეკრულება ¹⁷⁹	თარიღი	კულტურა	ბაღის ფართობი (ჰა)	სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)
1	APMAPLG001113	18.02.2019	კაკალი	12.55	69,738
2	APMAPLG001045	03.12.2018	კაკალი	20.00	100,000
3	APMAPLG001055	03.12.2018	კაკალი	19.97	97,687
4	APMAPLG001056	12.12.2018	კაკალი	16.50	86,940
5	ARDAPLG000663	07.04.2020	საღვინე ვაზი	5.00	80,951
6	ARDAPLG000663	07.04.2020	საღვინე ვაზი	19.00	158,270
7	APMAPLG001135	20.02.2019	კაკალი	13.80	89,587
8	APMAPLG001255	23.04.2019	ჟოლო	10.73	100,000
9	APMAPLG001119	05.02.2019	ჟოლო	6.80	67,980
10	APMAPLG001256	24.04.2019	ჟოლო	10.45	100,000
11	APMAPLG001110	18.01.2019	კაკალი	13.87	74,962
12	APMAPLG001148	26.02.2019	კაკალი	15.60	100,270
13	APMAPLG001147	12.02.2019	კაკალი	15.00	95,439
14	APMAPLB000096	24.04.2019	ჟოლო	0.42	10,542
15	APMAPLG001690	27.11.2017	კაკალი	20.00	100,000
სულ					1,332,366

დანართი N6

ბაღების ჩამონათვალი, სადაც ნერგები ნაწილობრივ ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამხმარია¹⁸⁰

N	ხელშეკრულება	თარიღი	კულტურა	ბაღის ფართობი (ჰა)	სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)
1	ARDAPLG000986	04.11.2020	ბალი	0.8	37,030
2	APMAPLG000965	29.05.2018	ზეთისხილი	20	95,240
3	APMAPLG000899	17.04.2018	ზეთისხილი	20	95,752
4	APMAPLG000931	03.04.2018	კაკალი, ნუში	19.5	79,894
5	ARDAPLG000745	23.03.2020	ნუში, კაკალი	30	139,803
6	APMAPLG000986	17.10.2018	ნუში, კაკალი, ვაშლი	20	88,360
7	APMAPLG000971	20.07.2018	კაკალი	20	95,185
8	ARDAPLB001087	22.12.2020	ჟოლო	0.5	13,230
9	APMAPLB000074	22.04.2019	ჟოლო, მაცვარი	0.5	10,815
10	APMAPLG001046	14.12.2018	ნუში	20	77,982
სულ					733,291

¹⁷⁸ APMAPLG001027, APMAPLG000971, APMAPLG001256, APMAPLG001215, APMAPLG001242 ხელშეკრულებების შემთხვევაში, მონიტორინგი ჩატარებულია აუდიტის ჯგუფის მიერ არსებული შესაბამისობის გამოვლენის შემდეგ. ცხრილში მოცემულია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხები.

¹⁷⁹ APMAPLG001045, APMAPLG001055 და APMAPLG001056 განაცხადებით გათვალისწინებული სარწყავი წყლის წყაროს (ჭაბურღილი)

არსებობა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება. ამასთანავე, APMAPLB000096 განაცხადის შემთხვევაში

გათვალისწინებული სარწყავი წყლის წყაროს (არხი) არსებობა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება. APMAPLB000096 განაცხადის შემთხვევაში ნაკვეთში არ არის საყრდენი ზოძები, მავთულები, ღუზები და დამჭიმები, შუა ზოძები შეინიშნება მცირე რაოდენობით.

¹⁸⁰ ცხრილში მოცემულია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხები.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE